საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რომლისაც ბოჭდ-ვუნი სიფფუვაა, ფუფილებით და ჭიანებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი-ოთხშაბათი, 8-9 სექტემბერი. 2020 წ. №111 (9037) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ეჰეჰ!.. ეს ჯარიანები ეკ, აკადემიანი

როცა უდროო დროს აკაკუნებენ...

4

შეუსაბამო ქართული პოლიტიკა

ნუთუ საბჭდისწერო იქნება?..

4

„პატრიოტთა ალიანსი“ ერთადერთი ეროვნული ალტერნატივაა საქართველოსთვის!

ფიზიკოს - ლირიკოსი

აფერუმ, წიგნის კაცო, ბატონო კახმეგ!..

9

გულანთებული პატრიოტი და სამშობლოს ერთგული მსახური

5

გელა ქოქიაშვილი:

ენრიკო კარუზო - „ოქროსხმიანი ჯადოქარი“

7

რათა ქართველმა ჯარისკაცმა ვაჟკაცურად დაიცვას სამშობლო

2

„ღირსეული პარტნიორი 2020“ ოფიციალურად გაიხსნა

სტუდენტებს 13 კატეგორიის მიხედვით აფინანსებენ!

ოფიციალური პროგრამის ფარგლებში სტუდენტების სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მიზნით ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის-სტომატოლოგიის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე განცხადებების მიღება დაიწყო.

აღნიშნულ თემაზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ნუნუ მიცკევიჩმა ბრიფინგი გამართა და საზოგადოებას პროგრამის პირობები გააცნო.

პროგრამა ითვალისწინებს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული 13 კატეგორიის სტუდენტების სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსებას. კერძოდ:

- **მაღალმთიანი სოფლის სტატუსის მქონე სკოლის კურსდამთავრებულები;**
- **სტუდენტები ოკუპირებული ტერიტორიებიდან;**
- **აზერბაიჯანულენოვანი სკოლის კურსდამთავრებულები;**
- **სომხურენოვანი სკოლის კურსდამთავრებულები;**
- **ტერიტორიული მთლიანობისათვის საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპულთა შვილები;**
- **მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანები ან მათი შვილები;**
- **ობოლი (უდედმამო) სტუდენტები;**
- **მრავალშვილიანი (4 და მეტი შვილი) ოჯახის წევრები;**
- **სტუდენტები, რომლებსაც სახელმწიფო მზრუნველობდა;**
- **სტუდენტები, რომელთაც მოპოვებული აქვთ/ჰქონდათ რეპატრიანტის სტატუსი;**
- **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტები;**
- **აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირები;**
- **ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლის კურსდამთავრებულები;**
- **სოციალურად დაუცველი სტუდენტები (ოჯახის სარეიტინგო ქულით 70000 და ქვევით).**

სოციალურ პროგრამასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია, დასაფინანსებელ სტუდენტთა კატეგორიებისა და კატეგორიის კუთვნილების დამადასტურებელი საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალის შესახებ, იხილეთ სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე: https://www.mes.gov.ge/content.php?id=4231&lang=geo

რათა ქართველმა ჯარისკაცმა ღირსეულად დაიცვას სამშობლო!..

„ღირსეული პარტნიორი 2020“ ოფიციალურად გაიხსნა

„ღირსეული პარტნიორი 2020“ ოფიციალურად გაიხსნა. სწავლების ოფიციალური გახსნისთვის, საქართველოში საჰაერო გზით ეტაპობრივად უკვე ჩამოვიდა მონაწილე ქვეყნების პირადი შემადგენლობა, ხოლო საზღვაო გზით ფოთის პორტში ამერიკული სამხედრო ტექნიკით დატვირთული გემი.

„ღირსეული პარტნიორი 2020“, რომელსაც საქართველო წელს მეხუთედ მასპინძლობს, 18 სექტემბრის ჩათვლით ჩატარდება. წელს სწავლებაში საქართველო ნატოს წევრ ოთხ ქვეყანასთან ერთად მონაწილეობს.

სწავლების მიზანია საქართველოს, ამერიკისა და პარტნიორ ქვეყნებს შორის მზადყოფნისა და თავსებადობის გაუმჯობესება, შავი ზღვის რეგიონში სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებაში წვლილის შეტანა.

გიორგი გახარია „ღირსეული პარტნირი 2020“-ზე: **საქართველოს როლი გლობალურ მშვიდობაში სულ უფრო და უფრო უნდა გაძლიერდეს და, საბოლოო ჯამში, ჩვენ უნდა მივაღწიოთ ქვეყნის ევროატლანტიკურ ინტეგრაციას.**

მოგესალმებით, ბატონო თავდაცვის მინისტრო, მოგესალმებით, ბატონო თავდაცვის ძალების მეთაურო, მოგესალმებით ბატონო გენერლებო, ოფიცრებო, სერჟანტებო, კაპრალებო და ძვირფასო რიგითებო.

მივესალმები ჩვენს სტუმრებს! დღეს ბედნიერებაა ვიყო აქ, ამ წვრთნების საზეიმო გახსნაზე, რამეთუ „ღირსეული პარტნიორი 2020“ არის მნიშვნელოვანი გაგრძელება ამ წვრთნების ციკლის და რა თქმა უნდა, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ძალების მზაობის და მათი ასე ვთქვათ, თავსებადობის ჩვენს პარტნიორებთან, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ „ღირსეული პარტნიორი 2020“-ის გახსნაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა

მთავრობის მეთაურმა მადლობა გადაუხადა პარტნიორებს — აშშ-ს, საფრანგეთს, დიდ ბრიტანეთს და პოლონეთს და აღნიშნა, რომ ცოდნა, რომელსაც ჯარისკაცები მიიღებენ ერთობლივად, გლობალურად მშვიდობის დასამყარებლად უნდა გამოვიყენოთ.

„ჩვენ ყველას უნდა გვესმოდეს, რომ ეს არის კიდევ ერთი ნათელი მაგალითი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის თანადგომის და ჩვენი საერთო მისწრაფებების. როდესაც მე აქ ვხედავ 2800-მდე ჯარისკაცს, სამხედრო მოსამსახურეს და წარმომიდგენია, როგორი ეფექტური და ღირსეული იქნება მათი ერთობლივი წვრთნები, რა თქმა უნდა, უაღრესად დიდი მადლობა უნდა გადავუხადოთ ჩვენს პარტნიორებს, პირველ რიგში აშშ-ს, საფრანგეთს, დიდ ბრიტანეთს, პოლონეთს, რამეთუ ყველას კარგად გვესმის, რომ ის ცოდნა, რომელსაც დღეს აქ ჩვენი ჯარისკაცები მიიღებენ ჩვენ ერთობლივად, გლობალური მშვიდობის დასამყარებლად უნდა გამოვიყენოთ,“ — განაცხადა გიორგი გახარიამ.

მისივე თქმით, მსგავსი წვრთნები აძლევს შესაძლებლობას ქართველ ჯარისკაცებს, რომ ღირსეულად დაიცვან მუნდირი, რამეთუ საქართველოს როლი გლობალურ მშვიდობაში სულ უფრო და უფრო უნდა გაძლიერდეს და საბოლოო ჯამში მსგავსი წვრთნებით, პარტნიორებთან ერთად, მათი თავსებადობის გაზრდით, ჩვენ უნდა მივაღწიოთ ქვეყნის საბოლოო ევროატლანტიკურ ინტეგრაციას.

„ბატონებო, მოგეხსენებათ, წვრთნა არის ჩვენი ჯარის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი, იმისთვის, რომ საბოლოო ჯამში საქართველოს, ამ ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაცია საბოლოო ჯამში გახდეს მიღწევადი. ჩვენ დღითიდღე უნდა გავაუმჯობესოთ ჩვენი ჯარის მდგომარეობა, მათი აღჭურვილობა, კეთილდღეობა და მსგავსი წვრთნები არის საქართველოს თითოეული მოქალაქის და ჩვენი ქვეყნის, სახელმწიფოს მშვიდობის გარანტი. გარდა ამისა, მოგეხსენებათ, საქართველოს სამხედრო ძალები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა სამშვიდობო მისიებში, როგორც ევროკავშირის, ასევე აშშ-ის ეგიდით, ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების ეგიდით და ყველას კარგად გვესმის, რომ მსგავსი წვრთნები აძლევს შესაძლებლობას ჩვენს ჯარისკაცებს, რომ ღირსეულად დაიცვან მუნდირი, რამეთუ საქართველოს როლი გლობალურ მშვიდობაში სულ უფრო და უფრო უნდა გაძლიერდეს და საბოლოო ჯამში მსგავსი წვრთნებით, ჩვენს პარტნიორებთან ერთად, მათი თავსებადობის გაზრდით, ჩვენ უნდა მივაღწიოთ ქვეყნის საბოლოო ევროატლანტიკურ ინტეგრაციას. დიდ მადლობას გიხდით და, რა თქმა უნდა, მადლობას გიხდით, პირველ რიგში, ღირსეული მსახურებისთვის. მადლობას ვუხდი ჩვენს სტუმრებს, ჩვენს პარტნიორებს, რამეთუ ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ საქართველოსთვის ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი, ეს არის ჩვენი ხვალინდელი დღე და ჩვენი ევროატლანტიკური ინტეგრაცია. საბოლოო ჯამში, მინდა გითხრათ, რომ ეს წვრთნები არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული, ეს წვრთნები არის საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაზრდისკენ მიმართული და საქართველოს თითოეული მოქალაქის და თითოეული ჯარისკაცის ვალდებულება. კიდევ ერთხელ მადლობა ღირსეული მსახურებისთვის,“ — აღნიშნა პრემიერმა.

ვაზიანში, IV მექანიზებული ბრიგადის სამწყობრო მოედანზე „ღირსეული პარტნიორი 2020“ ოფიციალურად გაიხსნა. საქართველო „ღირსეულ პარტნიორს“ უკვე მეხუთედ მასპინძლობს და მასში საქართველოს, აშშ-ის, გაერთიანებული სამეფოს, პოლონეთისა და საფრანგეთის 2800-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობს.

ღონისძიებას საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი,** მინისტრთა კაბინეტის წევრები, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაური ესწრებოდნენ.

არჩევნები დათქმულ დროს ჩატარდება

— ამის შესახებ საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ პრემიერმა განაცხადა.

გიორგი გახარიას თქმით, არჩევნებთან დაკავშირებული პროტოკოლები უკვე შემუშავებულია.

„არჩევნებთან დაკავშირებით ყველა პროტოკოლი შემუშავებულია. შეთანხმებულია როგორც ცესკოსთან, ასევე საერთაშორისო დამკვირვებლებთან, ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან. არანაირი პრობლემა ან შეფერხება პოლიტიკურ პროცესს, განსაკუთრებით ხმის მიცემის პროცესს, არ ექნება. ყველაფერი ჩატარდება დათქმულ თარიღებში და დემოკრატიის მაღალი ხარისხის სრული დაცვით“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

ხატი აუცილებლად დაბრუნდება ილორის მონასტერში და მასთან ერთად დაბრუნდებიან დევნილები...

— ამის შესახებ „პატრიოტთა ალიანსის“ წევრმა გიორგი ლომიამ იმ ხატზე საუბრისას განაცხადა, რომელიც მისმა პარტიამ ილორის ტაძარში ჩაბრძანა, მოგვიანებით კი, აფხაზებმა ხატი გამყოფ ხაზზე ჩაიტანეს.

„რაც შეეხება იმას, რომ ხატი უკვე სამი დღეა გამყოფ ხაზზე იმყოფება, ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა, არის ის, რომ თუ ხატი იქნება დაბრუნებული, ამ ხატს დაერქმევა დევნილობის ხატი, ანუ ეს ხატი დევნილობაში იქნება. ის აუცილებლად დაბრუნდება ილორის მონასტერში და მასთან ერთად დაბრუნდებიან დევნილები. ჩვენ რომ ჩავდიოდით აფხაზეთში, ეს არ იყო ფარული და პოლიტიკური, მიზნით ჩატარებული ვიზიტი, ამის შესახებ განვაცხადეთ, ეს იყო ჰუმანიტარულ-რელიგიური აქცია. გვსურდა, ხატი ჩაგვეტანა ილორის მონასტერში და ეს უნდა ყოფილიყო გაუხმაურებელი, ამაზე პიარის გაკეთებას არ ვაპირებდით, ჩვენი ჩვევა არ არის რელიგიური თემებით პიარი. მოხდა ისე, რომ ეს გახმაურდა და გახმაურდა ძალიან ცუდად. არ ვაპირებდით ამით პიარს, მაგრამ მტრებმა ეს ძალიან ცუდად გამოიყენეს. არიან ადამიანები აქაც და აფხაზეთშიც, რომლებსაც არ სურთ არანაირი სიკეთე. ჩვენ თუ დავაკვირდებით სასულიერო პირების პოზიციას, ათონის არქიმანდრიტი ამბობს, რომ არავის ჰქონდა უფლება, ხატი გაეტანა მონასტრიდან. ეს შეთანხმებული უნდა ყოფილიყო სასულიერო პირებთან და ეკლესიის ადმინისტრაციასთან“, — განაცხადა ლომიამ.

დედოფლისწყაროში საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნა

საქართველოს ვიცეპრემიერმა, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა, რიგით 83-ე საზოგადოებრივი ცენტრი დედოფლისწყაროში გუშინ საზეიმოდ გახსნა. საზოგადოებრივი ცენტრი კახეთის რეგიონში რიგით მეცამეტეა **28 000-მდე მცხოვრებს მოემსახურება.**

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობა დედოფლისწყაროში შირაქის ქუჩაზე სპეციალურად საზოგადოებრივი ცენტრისთვის აშენდა. შენობას აქვს შშმ პირებისთვის განკუთვნილი პანდუსი.

საზოგადოებრივ ცენტრში ადგილობრივი მოსახლეობა შეძლებს, კომფორტულ გარემოში სწრაფად, ადგილიდან გაუსვლელად ისარგებლოს სახელმწიფო და კერძო სექტორის 200-ზე მეტი მომსახურებით.

ეს მომსახურებები ხელმისაწვდომი იუსტიციის სახლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში სამთავრობო პროგრამის —„სახელმწიფო — შენი პარტნიორი“ — ფარგლებში გახდა. პროგრამის მიზანი მეწარმეობისა და ფერმერული მეურნეობების განვითარების სტიმულირებაა. პროგრამის პრეზენტაცია საქართველოს პრემიერ-მინისტრმა 21 აგვისტოს ამბროლაურში გამართა.

ᲜᲣᲗᲣ ᲡᲐᲑᲭᲔᲓᲘᲡᲬᲔᲠᲝ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ?..

„ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲗᲐ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘ“ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲚᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲕᲐᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ!

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲐ�პᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲡᲐᲑᲭᲔᲓᲘᲡᲬᲔᲠᲝ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲔᲡ, ᲔᲡ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲝᲚᲝ�გᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲝ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲛᲪᲝᲓᲜᲔᲗᲐᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲛᲐᲠᲢᲘᲕᲘ ᲐᲥᲡᲘᲝᲛᲘᲐ!

ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ, ᲐᲯᲐᲛᲓᲔ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ (ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ) ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲨᲘᲓᲐ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲖᲔ ᲐᲮᲚᲓᲔᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲣᲙᲘᲗᲮᲐᲝᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲘᲜᲐ ᲐᲥᲡᲘᲝᲛᲘᲐ!

ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ, ᲐᲯᲐᲛᲓᲔ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ (ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ) ᲨᲔᲓᲔᲗᲔᲑᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲨᲘᲓᲐ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲖᲔ ᲐᲮᲓᲔᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐᲡ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, „ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲘ“ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲕᲘᲠᲗᲮᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲕᲘᲠᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲘᲜᲐᲗ. ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲔᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ „ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲜᲐᲙᲚᲘ“, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ �გᲐᲛᲝ, ᲐᲠᲪ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲐᲛᲘᲔᲡ ᲡᲐᲡᲘᲙᲔᲗᲝ, ᲮᲝᲚᲝ ᲨᲘᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲗ, ᲫᲕᲔᲚᲘ ᲗᲣ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲕᲘᲠᲗᲮᲔᲑᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ „ᲯᲘᲑᲔᲨᲘ“ ᲑᲘᲜᲫᲣᲠᲘ ᲗᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲗᲣᲠᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠ, ᲒᲜᲔᲑᲐᲕᲗ ᲖᲜᲔᲝᲑᲠᲘᲕ ᲖᲘᲐᲜᲡ ᲐᲧᲔᲜᲔᲑᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠᲐ ᲘᲡᲔᲗᲡ, ᲠᲝᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲧᲝᲤᲜᲐ, ᲐᲠ ᲧᲝᲤᲜᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲓᲐᲛᲓᲒᲐᲠᲘᲧᲝ.

ᲛᲠᲐᲕᲐᲚ ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠ-ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠ (ᲩᲔᲛᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲣᲤᲠᲝ ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠ) ᲛᲘᲖᲔᲖᲗᲐ �გᲐᲛᲝ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ ᲓᲔ ᲤᲐᲥᲢᲝ ᲓᲐᲨᲚᲘᲚᲘ ᲡᲡᲠᲙ ᲓᲔ ᲘᲣᲠᲔ, 1991 ᲬᲚᲘᲡ 26 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲓᲐᲘᲨᲐᲚᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲣ ᲛᲙᲔᲠᲓᲖᲔ ᲛᲣᲨᲢᲔᲑᲘᲡ ᲣᲠᲐᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚ ᲑᲠᲐᲰᲐᲑᲠᲣᲨᲡᲐ ᲓᲐ „ᲯᲯᲝᲡ, ᲯᲯᲝᲡ“ ᲡᲙᲐᲜᲓᲘᲠᲔᲑᲘᲡ �გᲐᲠᲔᲨᲔ ᲒᲐᲕᲘᲩᲘᲡᲚᲔᲑᲘᲗᲐ „ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘᲡ“, ᲓᲦᲔᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲐᲦᲘᲠᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲒᲕᲘᲭᲘᲠᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ „ᲓᲔᲤᲐᲥᲢᲝ“ ᲓᲐᲨᲚᲘᲚᲘ ᲡᲡᲠᲙ-Ს ᲒᲐᲛᲝ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲐ�პᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘᲪ (ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲦᲢᲧᲘᲜᲔᲑᲘᲡ, ᲔᲘᲤᲝᲠᲘᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ) ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲧᲝᲤᲜᲐ-ᲐᲠᲧᲝᲤᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲔᲓᲘᲡᲬᲔᲠᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ...

ᲠᲐᲢᲝᲛ? ᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲯᲐᲕᲠᲝᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲢᲐᲜ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲞᲔᲢᲘᲝᲑᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲐᲜᲒᲕᲘᲐᲯᲝᲗ ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲔ ᲤᲐᲥᲢᲝ ᲗᲣ ᲓᲔ ᲘᲣᲠᲔ ᲛᲢᲙᲘᲪᲣᲐᲜ-ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲐ...

1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲛᲝᲪᲓᲐᲐᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ, ᲛᲠᲐᲕᲐᲚ�პᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐ. ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ 14 ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ, ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ ᲨᲔᲠᲔᲣᲚᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲗ. ᲐᲠᲩᲘᲣᲚ ᲘᲥᲜᲐ ᲣᲖᲜᲐᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ 250 (125 ᲞᲠᲝᲞᲝᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ 125 ᲛᲐᲟᲝᲠᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲗ) ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ 5 ᲬᲚᲘᲡ ᲕᲐᲓᲘᲗ. ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ 3 ᲛᲘᲚᲘᲝᲜ-ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲘᲧᲝ. ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ 67%-ᲛᲐ. 4%-ᲘᲐᲜᲘ ᲑᲐᲠᲘᲔᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲚᲐᲮᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲞᲝᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲗ ᲛᲐᲜᲓᲐᲢᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲝᲠᲛᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲛ:

„ᲛᲠᲒᲕᲐᲚᲘ ᲛᲐ�გᲘᲓᲐ — ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“ (81 ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ);

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ (44 ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ);

ᲛᲐᲟᲝᲠᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲙᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲜᲐᲘᲠᲐᲓ �გᲐᲓᲐᲜᲐᲬᲘᲚᲓᲐ:

„ᲛᲠᲒᲕᲐᲚᲘ ᲛᲐ�გᲘᲓᲐ — ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“ (43 ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ);

ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲐ (17 ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ);

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲤᲠᲝᲜᲢᲘ (11 ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ);

„ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“ (2 ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ);

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐ (1 ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ).

ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ, ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ 6 ᲞᲐᲠᲢᲘᲐ. ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ 5 „ᲛᲠᲒᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲓ ᲛᲝᲘᲐᲖᲠᲔᲑᲝᲓᲐ. ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ „ᲛᲠᲒᲕᲐᲚᲘ ᲛᲐ�გᲘᲓᲐ — ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“.

ᲛᲐᲠᲗᲘᲕᲘ ᲐᲠᲘᲗᲛᲔᲢᲘᲙᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲣᲚ „ᲛᲠᲒᲕᲐᲚᲔᲑᲡ“ ᲯᲐᲛᲨᲘ ᲡᲣᲚ 124 ᲛᲐᲜᲓᲐᲢᲘ ᲔᲠᲒᲝᲗ, ᲮᲝᲚᲝ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ �გᲐᲡᲣᲚ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲡ — 61. ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲒᲐᲜᲚᲐᲒᲔᲑᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ „ᲛᲠᲒᲕᲐᲚᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲙᲝᲐᲚᲘᲪᲘᲣᲠ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲐ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲣᲚᲝᲑᲐ ᲣᲓᲐᲕᲝᲓ ᲨᲔᲓᲘᲝᲓᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚᲘ „ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲨᲘ.

„ᲛᲠᲒᲕᲐᲚᲘ ᲛᲐᲗᲚᲘᲗ — ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“ — ᲐᲑᲐ, ᲠᲐ ᲘᲪᲝᲓᲘᲗ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲝᲚᲘᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲥᲐᲠᲘᲖᲛᲘᲗ ᲛᲝᲮᲘᲑᲚᲣᲚᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲘᲗ ᲮᲛᲐ ᲛᲘᲕᲔᲪᲘᲗ ᲡᲐᲓᲘᲡᲢᲘ ᲛᲐᲜᲘᲐᲙᲘᲡ ᲔᲠᲗᲞᲘᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ 9-ᲬᲚᲘᲐᲜ ᲙᲝᲨᲛᲐᲠᲡ, Ა�გᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲓᲔ ᲤᲐᲥᲢᲝ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲣᲚᲘ ᲡᲝᲩᲣᲛ-ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲓᲔ ᲘᲣᲠᲔ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲕᲐᲡ, �პᲚᲘᲣᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲝᲠᲘᲡ, ᲙᲝᲓᲝᲠᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲘᲡ ᲩᲐᲑᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ Ა.Შ.

ᲒᲐᲜᲘᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ „ᲐᲥᲔᲗ“ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ, 1992 ᲬᲚᲘᲡ 11 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲑᲭᲔᲓᲘᲡᲬᲔᲠᲝ ᲡᲐ�პᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲩᲐᲐᲢᲐᲠᲐ. ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ 2-ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲐᲜᲘ ᲑᲐᲠᲘᲔᲠᲘ 24 ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲛ ᲒᲐᲓᲐᲚᲐᲮᲐ...

ᲡᲐᲑᲭᲔᲓᲘᲡᲬᲔᲠᲔ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲐᲠᲓᲐ�გᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ ᲡᲐ�გᲠᲫᲜᲝᲑᲚᲐᲓ ᲨᲔᲘᲖᲦᲣᲓᲐ ᲛᲮᲔᲓᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲣᲙᲘᲗᲮᲐᲝᲑᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ „ᲡᲐᲛᲐ�გᲘᲔᲠᲝᲓ“ ᲛᲝᲙᲚᲔᲡ ᲐᲜ ᲗᲐᲕᲘ ᲛᲝᲘᲙᲚᲐ ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲛ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ — ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔᲗ (ᲛᲐᲨᲘᲜ ᲒᲕᲔᲒᲝᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ, ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝᲓ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲒᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ). ᲐᲯᲐᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲩᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ...

ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲘᲧᲝ ᲐᲠᲐ ᲛᲗᲚᲐᲓ ᲡᲐᲑᲭᲔᲓᲘᲡᲬᲔᲠᲝ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲛᲮᲔᲓᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲔᲨᲘᲡ ᲐᲚᲐ�გᲛᲕᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ, ᲠᲐᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲓᲐᲜᲣᲙᲘᲗᲮᲐᲝᲑᲐᲪ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ.

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗᲝᲗᲐᲪ (ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲠᲗᲣᲚᲐᲓ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ) Ი�გᲘᲕᲔ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘ ᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ?..

ᲛᲝᲥᲐᲕᲨᲘᲠ-ᲐᲦᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲐ-ᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ „ᲡᲐᲛᲐᲘᲐ“ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲔᲢᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ 2002 ᲬᲚᲘᲡ 2 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲐᲛᲓᲔ �გᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲑᲭᲔᲓᲘᲡᲬᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲒᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲛᲘᲮᲘᲔᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ. ᲡᲐᲑᲭᲔᲓᲘᲡᲬᲔᲠᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲮᲚᲝ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲛᲐ ᲐᲩᲕᲔᲜᲐ, ᲛᲘᲮᲔᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲪᲘᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲚᲕᲐ ᲚᲝᲖᲣᲜᲒᲘᲗ, „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ“, ᲝᲙᲔᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲚᲛᲐ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲢᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲪᲘᲥᲣᲚᲘ ᲯᲝᲠᲯᲗ ᲡᲝᲠᲝᲡᲘᲡ ᲛᲘᲠ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲜ. ᲤᲔᲠᲐᲓᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ (ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲐᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲘᲡ) ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ!..

ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ, ᲠᲐᲪ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ ᲡᲝᲠᲝᲡᲘᲡ ᲒᲕᲔᲚᲘᲡ ᲬᲘᲬᲘᲚᲔᲑᲛᲐ ᲯᲔᲠ 2003 ᲬᲚᲘᲡ 23 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲨᲔᲭᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ 2003 ᲬᲚᲘᲡ 2 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲐ�პᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲥᲛᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲖᲝᲛᲘᲗ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ! — ᲐᲑᲐ, ᲠᲐ ᲘᲪᲝᲓᲘᲗ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲝᲚᲘᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲥᲐᲠᲘᲖᲛᲘᲗ ᲛᲝᲮᲘᲑᲚᲣᲚᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲘᲗ ᲮᲛᲐ ᲛᲘᲕᲔᲪᲘᲗ ᲡᲐ

როცა უდრო დროს აკაკუნებენ...

შეუსაბამო ქართული პოლიტიკა

ამ წერილს ყოველგვარი პოლიტიკური შესავლის გარეშე პირდაპირ დავიწყებ:

ნაცებს და მათ ნასხლეტებს რომ არანაირი ზნეობრივი ღირებულებები არ გააჩნიათ და თავიანთი ბინძური ხელებით ყოველთვის ეპოტინებიან ჩვენთვის ძვირფას საკითხებს, არახალია.

ამ რამდენიმე დღის წინ ე.წ. „მთავარი არხის“ დირექტორი ნიკა გვარამია მორიგი საზიზღარი ფეისბუკ-პოსტით შეეხო ისეთ თემას, როგორიც შვილებსა და მამებს შორის დამოკიდებულებაა და ამ თავისი ბოღმის გადმოსანთხევად ბერა ივანიშვილის მიერ მამისადმი მიძღვნილი თბილი სიტყვები გამოიყენა.

საკმაოდ ადვილი გასაგებია, რომ გვარამიას არ ესმის შვილის დამოკიდებულება მშობლის ფენომენთან, ის, რომ შვილისთვის მამა ყველაზე ძლიერი და ყველასთვის პატივსაცემია, დედა კი ყველაზე ლამაზი და ყველაზე კეთილი.

საკმაოდ ადვილი გასაგებია, რომ მისთვის და მისნაირი უჯიშო, ურწმუნო, უსქესო არსებებისთვის ცნება სიყვარული არ არსებობს.

მათთვის მხოლოდ ის ცხოველური ინსტინქტებია მთავარი, რომლებიც მხოლოდ თქვლეფას და იმ დამპალი თესლის გადმონთხევას ითვალისწინებს, რისი ხორცშესხმული ფორმაც თავად არიან.

სავსებით ვეთანხმები ბერას საკუთარი მამის შეფასებაში და ჩემი მხრიდან ვიტყვი — დიახ, მამაჩემი რენო გაბრიჭიძე ყველაზე პატივსაცემი ადამიანი იყო ჩემთვის.

დიახ, ჩემი მეგობრების, ნათესავების და ახლობლების მამები ყველაზე მაგარი კაცები იყვნენ და არიან.

დიახ, მე ვეცდები ისე ვიცხოვრო, რომ ჩემმა შვილებმაც ჩემში ის დაინახონ, რასაც მე მამაჩემში ვხედავდი.

ამას, რაც ახლა დავწერე, კოლექტიური ნიკუტები ვერ გაიგებენ. ვერასდროს ვერ გაიგებენ, რადგანაც ნიკუტები არიან და მთელი თავიანთი უბადრუკი და მდაბიო არსებობის მანძილზე ასე დარჩებიან.

სწორედ მსგავსმა არამზადებმა შეძლეს, ქართულ მედიასივრცეში და ქართულ პოლიტიკურ სპექტრში დაემკვიდრებინათ პოლიტიკური მართვისა და საზოგადოებრივი განწყობების ყოვლად შეუსაბამო მიდგომა.

ჩემი აზრით, საარჩევნო კოდექსში აუცილებლად შესატანია მუხლი სუბიექტის მიერ საკუთარი შესაძლებლობების შესაბამისობის შეფასების შესახებ.

მოდით და რეალურად ვთქვათ, თუ როგორ აღიქვამენ საკუთარ შესაძლებლობას ესა თუ ის საარჩევნო სუბიექტები.

გულზე ხელი დაიდეთ და თქვით — ვაშაძე „ჯუნიორი“ პრემიერობისკენ იქაჩება, თაკო საბურთალოზე პუტინს ამარცხებს. ბოკერია, რომელიც ფოთში ბოლოს როდის იყო, ჩერგოსაც არ ახსოვს — მაჟორიტარობს, ვიღაც პარტიულობს და უამრავი მსგავსი აბსურდი, რაც მუდმივად ტრიალებს და რაც საზოგადოებას ნერვებს უშლის.

დიახ, ნერვებს უშლის, რადგანაც დარწმუნებული ვარ, ხალხის დიდი ნაწილი ჭიაბერაშვილს პირდაპირ ეტყოდა — „შიგ ხომ არა გაქვსო“.

„ლელოს“ ყველა კანდიდატს თუ ლაყე კვერცხებს, ან დამპალ პამიდვრებს არ ესროდა, იმიტომ რომ ქართველებს შინაგანი ტოლერანტობა გაგვაჩნია.

ვინმე შალვა ნათელაშვილს და მის სეხნია შავგულიძეს რეალობის შეგრძნება გააჩნიათ?

და ამ ხალხს უნდა იმ კანონების „შექმნა“, მე და თქვენ რომ უნდა გვაცხოვროს?

უკაცრავად, მაგრამ ამათ მართლა შიგ ხომ არა აქვთ?

სამწუხაროდ, მეტი გზა არა მაქვს და მივმართავ ხელისუფლებას — გთხოთ, მოძებნოთ მექანიზმები, რათა ეს მარაზმი შეწყდეს და ჩვენ, რიგითი ამომრჩევლები მყარი ნერვებით მივიდეთ საარჩევნო ყუთებამდე.

დიახ, მშვიდად და მომავლის რწმენის იმედით, თორემ ფრაზა „გაღიზიანებული ამომრჩეველი“, არც ვენეციის კომისიის დასკვნებში წერია და არც ევროსაბჭოს რეზოლუციებში

რაც შეეხება „ლელოს“ და მისი ე.წ. „მარშალის გეგმას“, რომელიც რამდენიმესაათიანი ლაყაფის შემდეგ რომ წარმოადგინეს, ხშირად გვსმენია ფრაზა — ამან ფული როგორ იშოვაო?

როდესაც „ლელოს“ ლიდერშიპის გამოსვლებს ვუსმენ, როდესაც მათი პიარკამპანია უნებურად თვალში მეჩხირება, მაშინვე ზემოთ ნათქვამი ფრაზა მახსენდება.

კარგი მენეჯერის მთავარი დამსახურება ის არის, რომ კადრები სწორად შეარჩიოს იმ ნიშანდობლივი საქმისთვის, რის გაკეთებასაც აპირებს. სწორად განსაზღვროს ის ბაზა, რითიც არსებული გამოწვევების დაძლევას ფიქრობს და სწორად შეარჩიოს ის პრიორიტეტები, რომელთა შესრულება შეუძლია.

თუ გადავხედავთ „ლელოს“ „მებრძოლ“ შემადგენლობას, შეუიარაღებელი თვალითაც ადვილად დავინახავთ, რომ არასამთავრობო სექტორის პრინციპებზე დამყნობილი ორიოდე პოლიტიკოსი, რომლებიც თავადაც არასამთავრობო სექტორიდან მოვიდნენ, პოლიტიკურ ძალას ვერ შექმნიან. მსგავსი უცხო სხეულებისადმი ხალხის დამოკიდებულების გარდა, ისინი ფსიქოლოგიურად ვერ შეძლებენ პოლიტიკოსობას.

ყველამ ძალიან კარგად ვიცით, თუ რა ზნეობრივი ბაზა აქვს „ლელოს“, რომელზეც პოლიტიკური ძალა უნდა დადგეს (ერთხელ გია ჭანტურიამ მითხრა — პოლიტიკა იმდენად ბინძური რამაა, რომ სუფთა ხელებით უნდა აკეთოო).

დაბოლოს, ის პრიორიტეტები, რომლებსაც გვთავაზობენ, სრულადაა ამოვარდნილი ქვეყნის ნორმალური განვითარების პრიორიტეტებიდან.

სწორედ ამიტომ ისმის შეკითხვა — როგორ იშოვა ფული ხაზარაძემ?

არადა, უკვე მერამდენე წელია, იმედით შევყურებთ არჩევნებს.

იმ იმედით, რომ მსგავსი შეუსაბამო და არამზადა ტიპები ერთხელ და სამუდამოდ გაქრებიან ქართული სინამდვილიდან, მაგრამ, სამწუხაროდ, ფილმების იმ ფრაგმენტებში ვვარდებით, როცა მთავარმა გმირმა მაგარი ქალი, როგორც იქნა, დაითრია, აკოცა, უკვე ლოგინისკენ მიჰყავს. მაყურებელს უხარია, შინაგანი კმაყოფილებით უყურებს ამ სცენას, ბედნიერ დასასრულს ელოდება და ამ დროს კარზე კაკუნია...



დანარჩენი იცით. ბევრჯერ გინახავთ.

გია გაბრიჭიძე

საარჩევნო პროცესის მშვიდ გარემოში ჩატარებას სააკაშვილის „ჩამოსვლა“ კითხვის ნიშნის ქვეშ ვერ დააყენებს

...კიდევ ერთხელ გავიმეორებ, მობრძანდეს! — ასე უპასუხა გიორგი გახარიამ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე კითხვას მიხეილ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნების სურვილზე. პრემიერის თქმით, ყოფილი პრეზიდენტის აქტივობა ქვეყნის სტაბილურობას კითხვის ნიშნის ქვეშ ვერ დააყენებს.

„ვერავინ და ვერაფერი ქვეყნის სტაბილურობას კითხვის ნიშნის ქვეშ ვერ დააყენებს და ვერავინ და ვერაფერი საარჩევნო პროცესის ნორმალურ, მშვიდ გარემოში ჩატარებას ხელს ვერ შეუშლის,“ — განაცხადა პრემიერმა.

გაერთიანებული ოპოზიცია სააკაშვილს ვერ ელევა

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ მიხეილ სააკაშვილი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად ოფიციალურად წარადგინა. ამის შესახებ გრიგოლ ვაშაძემ პარტიის ოფისში ბრიფინგზე განაცხადა.

„მიხეილ სააკაშვილი უნდა დაბრუნდეს საქართველოში და ის უნდა იყოს პირისპირ თავის ხალხთან. ზუსტად ამიტომ, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და გაერთიანებულ ოპოზიციაში შემავალმა ყველა პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება, მისი კანდიდატურა დავასახელოთ საქართველოს პრემიერ-მინისტრობაზე“, — განაცხადა ვაშაძემ.

მან ასევე აღნიშნა, რომ ქართველი საზოგადოება ცვლილებებს ითხოვეს, რომელთა განხორციელებაც მხოლოდ „ნაცმოძრაობასა“ და გაერთიანებულ ოპოზიციას შეუძლია. 8 სექტემბერს მიხეილ სააკაშვილმა Facebook-ზე გაავრცელა განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველოში დაბრუნების შესახებ მიმართვას 9 სექტემბერს გამოაქვეყნებს. მანამდე კი უკრაინის რეფორმების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ვიდეომიმართვა გამოაქვეყნა, რომელშიც მან ბოდიში მოიხადა და ამასთან, წინასაარჩევნოდ სამშობლოში დაბრუნება დააანონსა.

ნინო ბურჯანაძე: სააკაშვილის პრემიერ-მინისტრობას გამოვრიცხავ!

„გამოვრიცხავ სააკაშვილის პრემიერ-მინისტრობას. გამორიცხულია, რომ რომელიმე ერთმა ოპოზიციურმა ძალამ ერთპიროვნულად მოიგოს არჩევნები, რისი სურვილიც, სამწუხაროდ, სააკაშვილსა და მისი გუნდის ზოგიერთ წევრს აქვს, — აცხადებს „დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე.

„სააკაშვილს ასევე ვერ ვხედავ საერთო ოპოზიციური კოალიციის კანდიდატად, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი მხრიდან მის პრემიერობას ერთმნიშვნელოვნად არ ექნება მხარდაჭერა, არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ეს ვერც სამართლებრივად მოხერხდება და ვერც მოქალაქეობიდან გამომდინარე. პარტიულად გასაგებია, იმიტომ, რომ ისინი თავისი ხმების მობილიზაციას აკეთებენ, მაგრამ სამწუხაროა, რომ ქვეყნის განვითარების ამ მნიშვნელოვან ეტაპზე, პარტიულმა ინტერესმა და მეტი ხმის აღებამ, ოღონდ არა გამარჯვებისთვის საკმარისმა ხმებმა, გადაძალა საერთო ინტერესი და საერთო ინტერესი იყო, რომ პოლარიზება არ ყოფილიყო. მე ვურჩიე სააკაშვილს, რომ თუ მას მართლა უნდოდა ეჩვენებინა, რომ ის ქვეყნის ინტერესზე ზრუნავს, ამ არჩევნებზე გვერდზე გამდგარიყო, როგორც მე ეს გავაკეთე 2012 წელს და აღარ მიეცა ივანიშვილისთვის პოლარიზებისა და მიშა თუ ბიძინა — ამ ნიშნით არჩევნების ჩატარების საშუალება. თუმცა, სამწუხაროდ, არც მაშინ მიჯერებდა, როცა ხელისუფლებაში იყო და დაამთავრა ისე, როგორც დაამთავრა და ახლა რომ აღარ დამიჯერებდა, ცხადი იყო“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მიხეილ სააკაშვილმა საკუთარ დანაშაულზე პასუხი უნდა აგოს!

„სოციალ-დემოკრატების“ ხელმძღვანელი, დეპუტატი გია ჟორჟოლიანი აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილს სასამართლოს მიერ მისჯილი აქვს და საკუთარ დანაშაულზე პასუხი უნდა აგოს. გია ჟორჟოლიანს სააკაშვილის პრემიერ-მინისტრობის კანდიდატობაზე საუბარი არასერიოზულად მიაჩნია.



„როგორც კი სააკაშვილი საქართველოში ჩამოვა, საპატიმროში წავა, რადგან ის სასჯელი უნდა მოიხადოს, რაც სასამართლომ მიუსაჯა. მის პრემიერ-მინისტრობის კანდიდატობაზე საუბარი არასერიოზულად მიმაჩნია. დანარჩენი არის მანიპულირება და აბსურდული განცხადებების გაკეთება, რაც ახალი არ არის. „ნაციონალური მოძრაობისგან“ ამას მიჩვეული ვართ“, — განაცხადა ჟორჟოლიანმა.

გულანთებული პატრიოტი და სამშობლოს ერთგული მსახური



ამაღლებული **სიყვარული და გარჯა შარავანდად მოსავს ეროვნული ღირსებითა და ევროპული ფასეულობებით შემკულ, გამორჩეული თვისებების მქონე შესანიშნავ მეოჯახესა და მეგობრობის სიმბოლოდ ქცეულ გენადი (გიზო) კუხალაშვილს.**

წელს ჩვენი ერთგული მეგობარი ბატონი გიზო იუბილარია, მიმდინარე წლის 9 მაისს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა. სამწუხაროდ, პანდემიის გავრცელების გამო ვერ მოხერხდა მისი საიუბილეო საღამოს საზეიმო ვითარებაში გამართვა, მას მოგვიანებით აუცილებლად აღვნიშნავთ.

მისი განვლილი წლები ფასდაუდებელი სიმდიდრეა, აღსავსეა თავდადებული შრომით: ენგურჰესის მშენებლობის გვირაბგამყვანიდან, უმაღლეს პროფკავშირულ, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობამდე. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში კი ის, როგორც დიპლომატი, ემსახურებოდა სამშობლოდან იძულებით გადაადგილებულ თანამემამულეებს სანკტ-პეტერბურგსა და ლენინგრადის ოლქში. იგი გახდა ღირსეული მამულიშვილის გარსევან ჭავჭავაძის ღირსეული მემკვიდრე, რომელმაც 1993 წელს, ნევის პროსპექტის 65 ნომერში, პირველმა გახსნა დამოუკიდებელი, სუვერენული საქართველოს წარმომადგენლობა, სადაც დიპლომატიური სტატუსით იმუშავა 15 წელი.

დაიბადა 1945 წლის 9 მაისს ლეჩხუმში, ცაგერის რაიონის ულამაზეს სოფელ ზუბში. მისმა მშობლებმა, რაფიელ კუხალაშვილმა და სონა ჩაკვეტაძემ ხუთი შვილი აღზარდეს. მიხეილი, ჯემალი, გიზო, მაგული და ქეთევანი. დებსა და ძმებს დაბადებიდან დაჰყვათ სოფლის, სამშობლოსა და ერთმანეთის განუზომელი სიყვარული და პატივისცემა.

ბატონმა გიზომ და ქალბატონმა მერი შათირიშვილმა შესანიშნავი ოჯახი შექმნეს. ქ-ნი მერი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია, სპეციალობით ფიზიკოსი. 10 წელი იმუშავა თბილისის 170-ე საშუალო სკოლაში ფიზიკის მასწავლებლად. შემდეგ მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა სანკტ-პეტერბურგში და ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ეხმარებოდა მეუღლეს საკონსულო საქმიანობის წარმართვაში. მათი სიმდიდრეა ოჯახი და ორი ვაჟკაცი დათო და ლევანი. ოთხი შვილიშვილი – დავითი, სანდრო, ნიკოლოზი და დანიელი. ბატონი გიზოსა და ქალბატონი მერის ოჯახის მშვენება და სიამაყეა ულამაზესი რძლები თამარ ტალიაშვილი და მაგდა სანიკიძე.

ქალბატონი მერი უაღრესად განსწავლული პიროვნება, მორწმუნე მართმადიდებელი და ქართული, ეროვნული ტრადიციების მქადაგებელი და დამცველია.

დღეს შვილიშვილებთან მოალერსე ბაბუას ცხოვრება ერთი შეხედვით ია-ვარდებით მოფენილ მინდორს წააგავს, მაგრამ სინამდვილეში რამდენი გაჭირვება, განსაცდელი და სასოწარკვეთილება აქვს გამოვლილი. განსაკუთრებით ძალზე ძნელი გასახსენებელია მისთვის ის პერიოდი, როცა განუკითხაობის პერიოდში ხელმძღვანელობდა ხონის რაიონს. განუკითხაობის პერიოდის ყველა უბედურება დაატყდა თავს, შიშველი ხელებით ებრძოდა მძიმე ტექნიკით შეიარაღებულ სამხედრო ფორმირებებს, რომლებიც დილის 5 საათზე ხონში შეიჭრნენ და რაიონის გამგებელი დააპატიმრეს. გამგებელი უფალმა გადაარჩინა და საშუალება მისცა, ეშრომა, ეღვაწა და ეკეთებინა ამ ქვეყნად კეთილი საქმე, სადაც კი იშრომა, ყველგან ღირსეული კვალი დატოვა. მისი უანგარო შრომით უკმაყოფილო არავინ დარჩენილა.

ბატონმა გიზომ განვლილი ცხოვრების შესახებ გამოსცა შესანიშნავი წიგნი „ჩემი ცხოვრების ქარტეხილები“, რომელიც ადამიანის ღირსეული ყოფის, ოჯახური ცხოვრებისა და წარმატებული მოღვაწეობის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს, მისი მთავარი გმირი – მიზანდასახული ადამიანის სიმბოლოს.

ბატონი გიზოს მუშაობის ქვაკუთხედს წარმოადგენდა ის, რომ დედასამშობლოს იძულებით მოწყვეტილ ბავშვებს არ დაეკარგათ მშობლიური დედაენა, ეროვნულობა, ქართული სული და ცნობიერება. მშობლიურ სკოლას მოწყვეტილ 500-მდე ბავშვისთვის სანკტ-პეტერბურგში თავისი ხარჯებით სასწრაფოდ გახსნეს 2 საშუალო სკოლა, სადაც სწავლა საქართველოს განათლების სამინისტროს სისტემის მიხედვით მიმდინარეობდა.

გ. კუხალაშვილის მემუარები „ჩემი ცხოვრების ქარტეხილები“ ჩვენი ეპოქის, უახლესი ისტორიის მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს. ამიტომაც, შეუძლებელია დაეთანხმო ავტორის მოკრძალებულ განცხადებას, რომ ეს წიგნი მან მხოლოდ თავისი შთამომავლებისთვის დაწერა, ის უფრო მეტია, ვიდრე შვილებისა და შვილიშვილებისათვის დანატოვარი სამახსოვრო. იგი ძალიან ბევრ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის, რაც შეიძლება ცნობილი არ იყოს ფართო საზოგადოებისათვის და ფასდაუდებელია საქართველოს უახლესი ისტორიის მკვლევართათვის. ავტორი მიუკერძოებლად, ობიექტური თხრობით გვხიბლავს. ის დეტალურად გვიამბობს იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებისა და გამოწვევების შესახებ, რომელშიც თავად რომ მოუწია ცხოვრება-მოღვაწეობა და საკუთარ თავზე იწვნია იმ პერიოდის მთელი სიმწვავე. იგი სრული სიცხადით აღწერს ფართო საზოგადოებისთვის აქამდე უცნობ, საგულდაგულოდ შენიღბულ-დაფარულ ფაქტებს საბჭოეთიდან მოყოლებული, ე.წ. დამაქცევარი „ვარდების რევოლუციით“ დამთავრებული და სამართლიანად განსჯის მოვლენებს.



„შვილიშვილებთან ურთიერთობა მხნეობას, ძალასა და ენერგიას მმატებს“.

სანკტ-პეტერბურგის ქართული სათვისტომოს „ივერიის“ ხელმძღვანელმა, ღირსების ორდენის კავალერმა ბატონმა ბადრი კაკაბაძემ გვთხოვა ფართო საზოგადოებისთვის გაგვეცნო იმ ღონისძიებათა მოკლე ჩამონათვალი, რომელიც დაიგეგმა და განხორციელდა გ.კუხალაშვილის სანკტ-პეტერბურგშში მოღვაწეობის პერიოდში 1993 წლიდან 2008 წლამდე. ვფიქრობთ, მას დიდი ინტერესით გაეცნობა ქართული საზოგადოება.

სანკტ-პეტერბურგის მაშინდელმა მერმა ანატოლი სობჩაკმა და მისმა ყოფილმა მოადგილემ ვლადიმერ პუტინმა, რომელიც მაშინ კურირებდა საგარეო ურთიერთობების საკითხებს, მხარი დაუჭირეს ბატონი გიზოს თხოვნას, სასწრაფო სამედიცინო დახმარება აღმოეჩინა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს მძიმედ დაჭრილი მეომრებისათვის, რისი საშუალებაც მაშინ თბილისში არ იყო. თანხმობის მიღების შემდეგ 1995 წლის მარტში 20 მძიმე ავადმყოფი მოთავსებული იქნა ვერდენის სახელობის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. მათი მკურნალობის ხარჯები მერიამ აანაზღაურა. გამოჯანმრთელებულები დაბრუნდნენ საქართველოში. მკურნალობის პერიოდში, რომელიც 5 თვე გაგრძელდა, ავადმყოფებს რეგულარულ დახმარებას უწევდნენ სათვისტომოს წევრები, ბატონ გიზოსთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ბატონი ბადრი კაკაბაძე.

ანატოლი სობჩაკის ინიციატივით, 1995 წლის 5-7 მაისს დაინიშნა დიდი სამამულო ომში გამარჯვების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ დსთს ქვეყნების სპარტაკიადა. ხელმძღვანელობის მხრიდან მიღებული იქნა თხოვნა, რათა სპარტაკიადაში მონაწილეობა მიეღო საქართველოს სპორტულ დელეგაციასაც.

ამ საკითხზე ბატონი გიზო დაუკავშირდა საქართველოს სპორტის მაშინდელ მინისტრს, აწ გარდაცვლილ კახი ასათიანს, მიეღოთ მონაწილეობა დსთს სპარტაკიადაში. მინისტრმა განუმარტა, რომ უსახსრობის გამო სპარტაკიადაში მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ. ბატონი გიზო იძულებული გახდა, ამის შესახებ მოეხსენებინა ქალაქის ხელმძღვანელობისათვის. ა. სობჩაკმა განაცხადა, თუ ქართველები არ ჩამოვლენ, სპარტაკიადას ელფერი დაეკარგებაო და სათანადო დავალება მისცა თავის მოადგილეს ვ. პუტინს: სამგზავრო და სამივლინებო ხარჯები აანაზღაურებინა საქართველოს სპორტული დელეგაციისთვის. საქართველოდან 120 სპორტსმენი ჩამოფრინდა. სპარტაკიადის გახსნის ცერემონიალში მონაწილეობა მიიღო მაშინდელმა ვიცე-პრემიერმა ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა, რომელმაც სიტყვით გამოსვლისას მადლობა გადაუხადა ანატოლი სობჩაკსა და ვლადიმერ პუტინს ქართველი სპორტსმენების ხარჯების გაწევაში და ქართული დიასპორის მხარდაჭერისთვის.

მერიის მხარდაჭერით, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული 3000-მდე პირი შეასახლეს საერთო საცხოვრებლებში, სადაც თითოეული დაარეგისტრირა და მისცეს სპეციალური ცნობა შრომითი საქმიანობის შესახებ;

როგორც ზემოთაც ვთქვით, ლტოლვილი ოჯახების ბავშვებისთვის გაიხსნა 2 საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძეს საქართველოს განათლების სამინისტროს პროგრამით;

პეტერბურგის ცენტრში, სტარორუსკაიას ქუჩაზე აშენდა გრანდიოზული ქართული, მართლმადიდებლური ეკლესია, სადაც დღემდე წირვა-ლოცვა მიმდინარეობს ქართულ ენაზე. მას აღავლენს მამა რომანოზი (ვეფხვაძე);

სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე აღდგენილი იქნა ქართველოლოგიისა და არმენოლოგიის განყოფილებები. აკადემიკოს როინ მეტრეველის დახმარებით განყოფილება აღიჭურვა სასწავლო წიგნებითა და მეთოდური ლიტერატურით. ლექციების ციკლის წასაკითხად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უზრუნველყო პროფესორ-მასწავლებელთა მივლინება სანკტ-პეტერბურგში. ორჯერ საჯარო ლექცია წაიკითხა აკადემიკოსმა მარიკა ლორთქიფანიძემ.

მოეწყო სასიქადულო მამულიშვილის გურამ შარაძის შემოქმედებითი მივლინება, რომელმაც შეისწავლა პეტერბურგის სამეცნიერო ცენტრებსა და ბიბლიოთეკების არქივებში თავმოყრილი ქართული საგანძური, რომელიც ეხებოდა ბაგრატიონების სამეფო ოჯახს, ქართველოლოგიას, როგორ მეცნიერების, პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩვენი ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერების (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი) და თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებლების (ივ.ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, აკაკი შანიძე, გიორგი ჩუბინაშვილი, იოსებ ყიფშიძე) სწავლა-განათლების მიღებასა და საერთოდ სანკტ-პეტერბურგის ქართულ კოლონიას.

რუსულ ენაზე გამოიცა ჭაბუა ამირეჯიბის, ტიციან ტაბიძის, გალაკტიონ ტაბიძის, პეტრე ბაგრატიონის წიგნები. ასევე გამოიცა სამტომეული ცნობარი „ქართველები რუსეთში“ და ორტომეული „ქართველები სანკტ-პეტერბურგში“, რომელიც შეადგინა აწ განსვენებულმა პოლკოვნიკმა ლავრენტი ლიპარტელიანმა. მისივე ავტორობით დაიბეჭდა მონოგრაფია „გენერალისიმუსი სტალინი“;

2003 წლის მაისში დიდი წარმატებით ჩატარდა ქართული კულტურის დღეები, სადაც მოეწყო ქართველ მხატვართა გამოფენები ერმიტაჟში, საჯარო ბიბლიოთეკაში, რუსულ მუზეუმში, ხელნაწერთა ინსტიტუტში მოეწყო ქართული ხელნაწერების, ხელოვნების ნიმუშების, უძველესი წიგნების, წერილების, საეკლესიო ლიტერატურისა და საკულტო ნივთების გამოფენა. კულტურის დღეებში ყველა კინოთეატრში ხდებოდა ქართული კინოფილმების ჩვენება;

სხვადასხვა დროს მოეწყო რუსთაველის, გრიბოედოვის, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრების, სუხიშვილის სახელმწიფო ანსამბლის, „ქართული ხმების“, ნანი ბრეგვაძის, სოფიკო ჭიაურელის, ანსამბლ „რუსთავის“, ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლების გასტროლები და სხვა მრავალი, სანახაობითი გამოსვლები ფართო აუდიტორიის წინაშე;

1999 წლის მაისში ბატონმა გიზომ თბილისში ჩამოიყვანა სანკტ-პეტერბურგის სამთავრობო დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა პეტერბურგის გუბერნატორი ვალადიმერ იაკოვლევი. დელეგაციის წევრები მიიღეს პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ, პრემერ-მინისტრმა ვ.ლორთქიფანიძემ, პარლამენტის თავმჯდომარემ ნ.ბურჯანაძემ, ქალაქის მერმა ვ.ზოდელავამ, გაფორმდა კულტურული, საფინანსო და სავაჭრო ურთიერთობის განვითარების ერთობლივი ხელშეკრულებები;

როგორც წყლის წვეთში შეგიძლია დაინახო მთელი ოკეანე, ასევე, ამ მოკლე ჩამონათვალით ნათლად ჩანს, თუ როგორი შემართებით მუშაობდა და ასრულებდა თავის მოვალეობას დიპლომატი გ. კუხალაშვილი. იგი დიდი შემართებით შრომობდა სათვისტომოსთან, დიასპორასთან, რათა ერთად ეკეთებინათ ნამდვილი საერთო ქართული საქმე.

გ. კუხალაშვილმა დაამთავრა ლენინგრადის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი, იქვე დაამთავრა ასპირანტურა და დაიცვა დისერტაცია. ეზიარა კულტუროლოგიის მეცნიერებას. კლასიკურმა განათლებამ მას გამოუმუშავა განსაკუთრებული უნარი და თვისებები, შესძინა მტკიცე ნებისყოფა და გახადა შედეგებზე ორიენტირებული, ინოვაციური და ფართო ერუდიციის მქონე პიროვნება. იგი ეროვნული პრინციპების დამცველი პატრიოტია, რომელიც სამშობლოსა და საერთოდ ქვეყნის ინტერესებს ყველაზე მაღლა აყენებს. ის პირად ცხოვრებაში მოკრძალებული და თავმდაბალია, რაც მის შინაგანი კულტურის მაჩვენებელია.

ბატონ გიზოსთან ურთიერთობა ძალიან სასიამოვნოა. ჩვენ, მისი მეგობრები, ყოველთვის მოხიბლული ვართ მისი ინტელექტუალური საუბრით და ყურადღებით. იგი ძალიან პუნქტუალურია და ამასვე მოითხოვს ის მის ახლობლებისგანაც. მისი გამორჩეული თვისებები და ადამიანური სიყვარული ყოველთვის მაღალი ზნეობრივი და ეროვნული ფასეულობებით არის გაჯერებული.

სულითა და გულით ვულოცავთ ბატონ გენადის (გიზოს) 75 წლის იუბილეს!

ვუსურვებთ მას დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ოჯახურ ბედნიერებას და ულევ სიხარულს.

დაე! კვლავაც დიდ ხანს ეღვაწოს მას თავისი სამშობლოს ინტერესების სადარაჯოზე.

თანაკლასელები: დულიკო ბერაძე, ანა ბალავაძე, მალიმა და გრიშა უგრეხელიძეები, დალი მარჯანიშვილი, ბელა ბრეგვაძე, მიშა ეფრემიძე, გიორგი (ჟორა) საღარაძე, ჯემალ ჩაკვეტაძე.

მეგობრები: ბადრი კაკაბაძე, ვაჟა ბერიძე, თამაგ ჩხიკვიშვილი, გურაბ ჩაკვეტაძე, რომან გეთია, იუზა ომონაძე, ვახტანგ ზანგურაშვილი
599 60 82 99

ᲛᲘᲘᲚᲘᲐ 1943 ᲬᲔᲚᲘ. მეორე მსოფლიო ომი ჯერ კიდევ მძვინვარებდა. იმ წელს განცდილი სერიოზული მარცხის მიუხედავად, გერმანია ომს აგრძელებდა. იგი უცვლელად ინარჩუნებდა პოზიციებს დასავლეთ, ჩრდილო, სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპაში — მოკავშირე, სატელიტ და დაპყრობილ სახელმწიფოებში. გერმანული სამხედრო მანქანა გამართულად მოქმედებდა. ცხადი იყო, რომ გერმანიის დამარცხება ახლო მომავალში შეუძლებელი იქნებოდა, მით უფრო, რომ დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები ევროპაში მეორე ფრონტის გახსნას აგვიანებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ გერმანია ახლო მომავლში იარაღის დაყრას არ აპირებდა, მოკავშირეები (საბჭოთა კავშირი, დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები) უკვე ომის შემდგომი ევროპისა და აზიის სახელმწიფოთა ახალი საზღვრების, ამ სახელმწიფოთა პოლიტიკური სისტემისა და მთავრობების შესახებ იწყებენ ფიქრს. საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, პირადად იოსებ სტალინს, სრულიად კონკრეტული სამხედრო-პოლიტიკური გეგმები ჰქონდათ აღმოსავლეთ, ჩრდილო და სამხრეთ ევროპის ქვეყნების მიმართ, რაც, პირველ რიგში, ამ რეგიონებში სატელიტი სახელმწიფოების შექმნას და შესაბამისი პოლიტიკური სისტემისა და მთავრობების ჩამოყალიბებას ითვალისწინებდა. გარდა ამისა, იოსებ სტალინი რამდენიმე რეგიონში სტრატეგიული ტერიტორიის ხელში ჩაგდებასაც გეგმავდა. საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას სერიოზული გეგმები ჰქონდა ორი აზიური სახელმწიფოს — თურქეთისა და ირანის მიმართ.


ᲡᲘᲛᲝᲜ ᲯᲐᲜᲐᲨᲘᲐ

„ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲝᲑᲚᲔᲑᲘ“

ᲤᲔᲠᲔᲘᲓᲜᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲨᲘ (1944-1945)

1944 ᲬᲚᲘᲡ 26 მარტს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **კანდიდ ჩარკვიანმა** აკადემიკოს **სიმონ ჯანაშიასაგან** რუსულ ენაზე დაწერილი ორი ისტორიული ნარკვევი მიიღო, პირველი ასე იყო დასათაურებული: **„ირანის ისპაჰანის პროვინციის ქართველობის შესახებ“, ხოლო მეორე — „თურქეთის შემადგენლობაში შესული ქართული ტერიტორიების საკითხისათვის“.** ორივე ნარკვევი ერთ საქმედაა შეკრული და პირველ გვერდზე, მარცხენა ზედა კუთხეში, აქვს რუსულ ენაზე მელნით შესრულებული წარწერა: „კ. ჩარკვიანი. 26. III. 44 წ.“ ამ წარწერით დგინდება, რომ სიმონ ჯანაშიასგან ნარკვევები კანდიდ ჩარკვიანს 1944 წლის 26 მარტს მიუღია. არქივში დაცული მასალებიდან არ დგინდება, ვისგან მიიღო სიმონ ჯანაშიამ ნარკვევების დაწერის დავალება, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქმე ეხებოდა არა საბჭოთა კავშირის საშინაო საქმეებს, არამედ საბჭოთა კავშირ-ირანისა და საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობებს, ცხადი გახდება, რომ მსგავს დავალებას სიმონ ჯანაშიას კანდიდ ჩარკვიანი ვერ მისცემდა. შეკვეთა აშკარად მოსკოვიდან მოდიოდა.

როგორც სხვა საარქივო დოკუმენტებიდან დგინდება, საქმე **იოსებ სტალინის** მითითებით აღიძრა და მის შესრულებას კონტროლს უწევდნენ საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ლავრენტი ბერია** და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი **ვიაჩესლავ მოლოტოვი.**

ᲨᲐᲰ ᲐᲑᲐᲡ I

ᲨᲐᲰ ᲰᲣᲡᲔᲘᲜ I

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐ ᲤᲔᲠᲔᲘᲓᲐᲜᲨᲘ

სულ მალე ირანის ისპაჰანის პროვინციაში, — ფერეიდანში მცხოვრები ქართველების საკითხი თბილისსა და მოსკოვს შორის გრიფით „საიდუმლოდ“ მიმოწერაში გვხვდება. რაც შეეხება თურქეთის შემადგენლობაში არსებული ქართული ტერიტორიის (ტაოკლარჯეთის, ლაზეთის) საკითხმა საიდუმლო მიმოწერიდან ოფიციალურ საერთაშორისო ურთიერთობებში გადაინაცვლა და შემდეგ პრესითაც გაშუქდა. მხედველობაში გვაქვს **ბერლინის (პოტსდამის) კონფერენციაზე, რომელიც 1945 წლის 17 ივლისიდან 2 აგვისტომდე მიმდინარეობდა, 22 ივლისის სხდომაზე იოსებ სტალინის ინიციატივით თურქეთის შემადგენლობაში არსებული ქართული ტერიტორიების საკითის განხილვა. კონფერენციის სტენოგრამიდან ირკვევა, რომ იოსებ სტალინის წინადადებით, ამ საკითხზე ვიაჩესლავ მოლოტოვმა ისაუბრა, რომელსაც კონფერენციის მონაწილეთათვის სპეციალურად შედგენილი რუკაც კი წარუდგენია.** პოტსდამის კონფერენციას რაიმე დადგენილება არ მიუღია, თუმცა იოსებ სტალინი საკითხს დასრულებულად არ მიიჩნევდა. 1945 წლის 14 დეკემბერს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა **სიმონ ჯანაშიასა** და **ნიკო ბერძენიშვილის** წერილი **„თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“. 15 დეკემბერს** წერილის სრული რუსული თარგმანი გამოაქვეყნა გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ“, ხოლო 20 დეკემბერს — გაზეთებმა **„პრავდამ“** და **„იზვესტიამ“, 22 დეკემბერს** — გაზეთმა **„პრავდა უკრაინიმ“.**

პოტსდამის კონფერენციაზე ირანში, ფერეიდანში, მცხოვრები ქართველების ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების საკითხი არ დასმულა, არც პრესაში დაწყებულა საკითხის განხილვა, მიუხედავად ამისა, ფერეიდნელი ქართველების საქართველოში გადმოსახლების საკითხი არ დახურულა, გრძელდებოდა მიმოწერა თბილისსა და მოსკოვს შორის.

სიმონ ჯანაშიას ნარკვევი „ირანის ისპაჰანის პროვინციის ქართველობის შესახებ“ უაღრესად საინტერესო დოკუმენტია. ფაქტობრივად, ესაა სამეცნიერო ნარკვევი, რომლის შინაარსსაც მკითხველს ქვემოთ ვთავაზობთ.

სიმონ ჯანაშია ნარკვევს იწყებს იმის აღნიშვნით, რომ **1944 წლისათვის ფერეიდანში საქართველოდან გადასახლებული 16.000 ქართველი ცხოვრობდა.** შემდეგ მოთხრობილია ქართველთა გადასახლების ისტორია. **ქართველები ირანში შაჰ აბას I-ის (1587-1629) დროს გადაასახლეს.** გადასახლება ერთბაშად არ მომხდარა, **სულ ცნობილია 8 დიდი გადასახლება. მერვე გადასახლებაში, 1603-1608 წლებში, ქართველებთან ერთად სომხებიც მოჰყვნენ.** ქართველთა ყველაზე დიდი რაოდენობა ირანში სწორედ მერვე გადასახლების შემდეგ აღმოჩნდა. ამ დროისათვის ირან-ოსმალეთის ომი მიმდინარეობდა, რომელიც საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიასაც შეეხო. შაჰ აბას I-ს სურდა ოსმალეთისათვის სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში ომის წარმოებისათვის აუცილებელი ეკონომიკური ბაზა მოესპო და ოსმალეთსა და ირანს შორის მოსახლეობისაგან დაცლილი და გავერანებული ტერიტორიის ზოლი შეექმნა, რაც ოსმალეთის არმიის მომარაგებას გაართულებდა. გარდა ამისა, ქართველთა და სომეხთა გადასახლებას სხვა მიზანიც ჰქონდა: ქართველებიცა და სომხებიც კარგი მიწათმოქმედნი და ხელოსნები იყვნენ. თუ მათ ირანში გადაასახლებდნენ, ეს იქ მიწათმოქმედებისა და ხელოსნობის აღმავლობას შეუწყობდა ხელს. **ქართველები და სომხები ირანის მაშინდელი დედაქალაქის, ისპაჰანის, ახლოს ჩაასახლეს.**

ირანში ქართველთა გადასახლება კახეთისა და ქართლის რამდენიმე რაიონიდან მიმდინარეობდა. **დიდი რაოდენობით ქართველები (სავარაუდოა, რომ მათთან ერთად სომხებიც — ვ. გ.) გადაასახლეს ქალაქ გორიდან და მის შემოგარენში მდებარე სოფლებიდან, ასევე — თათრები ბორჩალოდან.**

1603 წელს დაწყებული გადასახლება სულ უფრო და უფრო ფართო მასშტაბებს იძენდა. ცხადია, მოსახლეობა წინააღმდეგობას უწევდა ამ პროცესს და ცდილობდა, მთებისათვის შეეფარებინა თავი. ყოველი გადასახლება ეტაპებად ხორციელდებოდა და საკმაო ხანს გრძელდებოდა. **წყაროებიდან დასტურდება, რომ პირველი გადასახლებულები ირანის ცენტრალურ ნაწილში, ისპაჰანის პროვინციაში, 1607-1608 წლებში ჩაიყვანეს.** ასე აღმოჩნდა ირანში რამდენიმე ათეული ათასი ქართველი. წყაროებიდან დასტურდება, რომ **ბევრი მათგანი გზაში დაიღუპა. ქართველთა ნაწილი გამცილებლებმა დახოცეს, ნაწილი შიმშილმა და სიცივემ იმსხვერპლა.**

ქართველთა და სომეხთა გადასახლება იმ დროს მიმდინარეობდა, როდესაც ირან-ოსმალეთის ომი მძვინვარებდა. ოსმალეთის ჯარების მოახლოების გამო გადასახლებულთა გამცილებელმა ირანელებმა ქართველები და სომხები აიძულეს სწრაფად გადასულიყვნენ მდინარე არაქსზე. ნავების უკმარისობის გამო ნაწილს მდინარის გადაცურვა მოუხდა. მათი უმრავლესობა წყალში დაიხრჩო. გადასახლებულთა ნაწილს ოსმალეთის ჯარი წამოეწია და დახოცა.

* * *

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ გადასახლებულები ირანის ჩრდილოეთში, **მაზანდარანისა** და **გილიანის** პროვინციებში ჩაასახლეს, ნაწილი — **ხორასნის პროვინციის ყაზვინის, თეირანისა** და **ჰამადანის** რაიონებში. გადასახლებულ ქართველთა პირველი ნაკადიდან ნაწილი მაზანდარანის პროვინციაში, ქალაქ **აშრეფის** ახლოს დაასახლეს. ისინი თითქმის მთლიანად დაიღუპნენ მკაცრი კლიმატური პირობების, არაადამიანური შრომისა და ირანელთა მხრიდან ძალადობის გამო. ქართველთა დიდი ნაწილი იმის გამო დახოცეს, რომ მათ ისლამის რჯულზე მოქცევა არ ისურვეს. გადარჩა მხოლოდ მცირე ნაწილი, ისინი დროთა განმავლობაში გამუსლიმდნენ და ადგილობრივ მოსახლეობაში აითქვიფნენ. ქალაქ აშრეფში სასაფლაოზე ქართველთა საფლავები ყოფილა შემორჩენილი, ხოლო ქალაქის ერთ უბანს „ქართველთა უბანი“ რქმევია.

ისპაჰანის პროვინციასა და საკუთრივ, ქალაქ ისპაჰანში ძირითადად ხელოსანი ქართველები დატოვეს. ფერეიდანში ქართველი და სომეხი გლეხები (მიწათმოქმედნი) და ბორჩალოელი თათრები გადაიყვანეს.

გადასახლებიდან 50 წლის შემდეგ, 1657-1658 წლებში, შაჰ აბას I-ის სიკვდილს თან მოჰყვა ქრისტიანი გადასახლებულების სასტიკი დევნა. ქართველებმა და სომხებმა **ახალ ჯულფას** შეაფარეს თავი, თუმცა მათ აქაც სასტიკად ავიწროებდნენ. ახალ ჯულფაში სომხებთან ერთად ძირითადად ქალაქ გორიდან და მისი შემოგარენი სოფლებიდან გადასახლებულნი აღმოჩნდნენ. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ქართველ-სომეხთა შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა დამყარდა. შემორჩენილი იყო საფლავის ქვების წარწერები, საიდანაც დასტურდებოდა, რომ გარდაცვლილები გორელები იყვნენ. სომხებმა ჯულფაში ეკლესიის აგება მოახერხეს, ქართველებმა კი — ვერა. ამიტომ იყო, რომ ქართველები სომხურ ეკლესიაში დადიოდნენ (როგორც ჩანს, ამ დროიდან დაიწყო ქართველთა მონოფიზიტურ სარწმუნოებაზე გადასვლა — ვ. გ.). წმ. ნერსესის სახელობის ეკლესიის ეზოში არსებულ საფლავის ქვებზე სომხურთან ერთად ქართული წარწერებიც არის. ერთ-ერთი წარწერა, რომელიც 1700 წელსაა შესრულებული, ასე იკითხება: „ქუთათელი ქრისტაშვილი“. გარდა ამისა, ქართველთა საფლავებზე იყო წარწერები: „თაბაგი“, „ამირბარი“, „ათათაშვილი“, „დავით გოშნაშვილი“... ბევრ საფლავის ქვაზე წარწერა ან გაურკვეველი იყო, ან საერთოდ აღარ იკითხებოდა. 1700 წლის შემდგომი პერიოდის წარწერები საფლავების ქვებზე აღარ მოიპოვებოდა. ეს შეიძლება იმას უკავშირდებოდეს, რომ ამ დროს, ირანის შაჰის ჰუსეინ I-ის (1694-1722) მმართველობის პერიოდში, ქრისტიანთა სასტიკი დევნა და მათი ისლამის რჯულზე მოქცევა მიმდინარეობდა. ეს პროცესი შეეხო ახალ ჯულფაში მცხოვრებ გორიდან გადასახლებულთ და ფერეიდნელ ქართველებს. ქრისტიანთა დევნა, რომელიც შაჰ ჰუსეინ I-ის მმართველობამდე დაიწყო, **ეს განსაკუთრებით დიდი სისასტიკით მიმდინარეობდა 1694-1697 წლებში. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველთა ისლამის რჯულზე მოქცევა ძირითადად ამ პერიოდიდან დაიწყო.**

ᲕᲐᲮᲢᲐᲜ�გ ᲒᲣᲠᲣᲚᲘ,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
(ტელ: 597 212 060).

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲠᲘ�გ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ)

ᲔᲜᲠᲘᲙᲝ ᲙᲐᲠᲣᲖᲝ – „ᲝᲥᲠᲝᲡᲮᲛᲘᲐᲜᲘ ᲯᲐᲦᲝᲥᲐᲠᲘ“

ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ ᲕᲝᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲚ ᲙᲐᲜᲢᲝᲡ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲘᲡ ᲔᲜᲠᲘᲙᲝ ᲙᲐᲠᲣᲖᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲐᲝᲞᲔᲠᲝ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲚᲔ�გᲔᲜᲓᲐᲓᲐᲐ ᲥᲪᲔᲣᲚᲘ. ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲮᲛᲘᲡ ᲦᲕᲗᲐᲔᲑᲠᲘᲕ ᲟᲦᲔᲠᲐᲓᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲮᲘᲑᲕᲔᲚᲔᲚᲝᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲠᲐᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲝᲡᲢᲐᲢᲝᲑᲘᲗ ᲐᲛᲓᲘᲓᲠᲔᲑᲓᲐ, ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲡ ᲓᲐ ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲡ ᲣᲫᲦᲕᲜᲘᲓᲐ. ᲛᲐᲜ ᲡᲐᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲝ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲔᲞᲝᲥᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲣᲛᲔᲝᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲕᲐᲚᲘ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ ᲡᲐᲝᲞᲔᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲘᲛᲦᲔᲠᲝ ᲟᲐᲜᲠᲨᲘ, ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲠᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲕᲝᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ, ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲡ ᲡᲢᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲜᲔᲠᲐ.

საქვეყნოდ აღიარებული მომღერლებიდან არავის არ რგებია ხალხის ისეთი სიყვარული, ისეთ სიმაღლეებზე ასვლა და ადამიანების სულში ისე ღრმად შეჭრა, როგორც ეს ენრიკო კარუზომ შეძლო. მისი შესრულების სტილი ყველასგან განსხვავებული, გამორჩეული და ინდივიდუალური იყო. იგი მსმენელს აოცებდა თავისი ზღაპრული ხმის ექსპრესიით, გამომხატველობით და შინაგანი ემოციით. მის ხმაში აშკარად ისმის ხან ნაღვლიანი, ხანაც აღმაფრთოვანებელი აღტყინება. ამიტომაა, რომ მას ვერასდროს გულგრილად ვერ მოუსმენ, მის სიმღერას ყოველთვის მონუსხული ჰყავდა და ჰყავს მსმენელი. ნიკოლა დასპუროს თქმით კარუზო იყო: **„ადამიანთა გულების დამპყრობი“**.

კარუზომ სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა თავისი მომაჯადოებელი ხმის სრული მოცულობა, ახალგაზრდული ჟღერადობა, ფართო დიაპაზონი, მაღალი და დაბალი ნოტების უბადლო შესრულება. მომღერალს გააჩნდა არაჩვეულებრივად ძლიერი, ლამაზი ტემბრის ხავერდოვანი შეფერილობის ხმა, ბუნებრივად სწორი სუნთქვა და დიქცია. მრავალი ცნობილი თუ უცნობი მომღერლისთვის ოცნებად და მისაბაძ მაგალითად იქცა კარუზოს პიროვნება, მისი სიმღერის უნიკალური შესაძლებლობები. ამან კი მას მსოფლიოში უდიდესი მომღერლის რეპუტაცია შეუქმნა და პირველთა შორის უპირველესის ადგილი დაუმკვიდრა.

ენრიკო კარუზო დაიბადა 1873 წელს იტალიის ქალაქ ნეაპოლში, მექანიკოსის ოჯახში. როგორც თითქმის ყველა ცნობილი პიროვნების, კარუზოს ბავშვობის წლებიც რთული და წინააღმდეგობრივი იყო.

კარიერის დასაწყისში მისი ვოკალური წარმატებები მოკრძალებულად გამოიყურებოდა. რაღაც პერიოდის განმავლობაში ვერ არკვევდნენ ტენორი იყო თუ ბარიტონი. მისი პედაგოგები გულიელმო ვერჯინე და ვინჩენცო ლომბარდი მაინცა და მაინც არ იყვნენ აღფრთოვანებული მისი მონაცემებით. განსაკუთრებით წარუმატებელი იყო 1894 წელს მისი დებიუტი საკუთარი ქალაქის, ნეაპოლის თეატრ „ნუოვოში“, მორელის ოპერაში „ფრანჩესკოს მეგობარი“. მაგრამ მიუხედავად ამისა, მომღერალი სულიერად არ გატეხილა და ხელი არ ჩაუქნევია. პირიქით, მან მთელი მონდომებით, ყურადღებით, რწმენით და მომავლის იმედით განაგრძო შეუპოვარი და დაუღალავი მუშაობა საკუთარ თავზე. ხანგრძლივი მეცადინეობის შედეგად კარუზომ თანდათან გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. მან პერიოდულად დაიწყო გამოსვლები იტალიის პროვინციულ საოპერო თეატრებში. განსაკუთრებით გამორჩეულია მისი გამოსვლები მილანის საოპერო თეატრ „ლა სკალაში“. სულ მალე კარუზომ იტალიაში, ამ ოპერისა და სიმღერის ქვეყანაში საერთო აღიარება მოიპოვა.

მიუხედავად იმისა, რომ კარუზოს მსოფლიოს უამრავ დიდ საოპერო თეატრში ჰქონდა ნამღერი, ყველაზე უკეთ მას იცნობდნენ ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ ოპერაში“, სადაც 1903 წლიდან 17 წლის განმავლობაში გამოდიოდა, როგორც უმაღლესი რანგის, წამყვანი სოლისტი. თეატრში კარუზოს ყველაზე მაღალი ანაზღაურება ჰქონდა. ამის გამო ხშირად გაისმოდა ნაკლები ანაზღაურების მქონე მომღერლების პრეტენზიები. ამ დროს „მეტროპოლიტენ ოპერის“ თეატრის გენერალური დირექტორის ჯულიო გატტი-გაზაცცას პასუხი ასეთი იყო: **„კარუზოსთვის ნებისმიერი თანხის მიცემა არასოდეს არაა ზედმეტი“**. ამბობენ, თითქმის კარუზოს ზოგჯერ თეატრის დირექცია სთავაზობდა ეგრეთ წოდებულ „თეთრ კონტრაქტს“, ანუ უგზავნიდნენ ცარიელ ბლანკს, სადაც მომღერალს შეეძლო ჩაეწერა ნებისმიერი თანხა, მაგრამ იგი არასოდეს წერდა იმაზე მეტს, რაც წინასწარ არ იყო შეთანხმებული. ყოველივე ეს მის უდიდეს ღირსებაზე მეტყველებს.

„მეტროპოლიტენ ოპერის“ მატიანე ადასტურებს, რომ კარუზოსნაირი წარმატება არც ერთ მსახიობს არ ჰქონია ამ თეატრში. აფიშაზე მისი სახელის გამოჩენა ყოველთვის დიდ მოვლენას წარმოადგენდა მთელი ქალაქისა და ახლო-მახლო რეგიონისათვის.

შთამბეჭდავია ამ გენიალური მომღერლის რეპერტუარი, რომელიც ოთხმოცზე მეტ საოპერო ნაწარმოებს ითვლის. მათ შორის, განსაკუთრებულად გამოირჩევა უმაღლეს საშემსრულებლო დონეზე ნამღერი ოპერები: ვერდის „აიდა“, „ტრუბადური“, „ტრავიატა“, „რიგოლეტო“, „ბალ-მასკარადი“, „ბედის ძალა“, „დონ კარლოსი“; პუჩინის „ტოსკა“, „ბოჰემა“, „მანონ ლესკო“, „ქალიშვილი დასავლეთიდან“; ბიზეს „კარმენი“, „მარგალიტის მაძიებლები“; პონკიელის „ჯოკონდა“; ბელინის „პურიტანელები“; მეიერბერის „ჰუგენოტები“, „აფრიკელი ქალი“; ლეონკავალოს „ჯამბაზები“; გუნოს „ფაუსტი“.

ხშირად მსმენელის გაოცებას იწვევდა, როდესაც მომღერლის ხმა ბრწყინვალე ბარიტონულ ჟღერადობას იძენდა. ამის დასადასტურებლად გამოდგება იაგოსა და ოტელოს დუეტის ჩანაწერი ენრიკო კარუზოსა და უდიდესი ბარიტონის ტიტა რუფოს შესრულებით, სადაც მომენტებში შეუძლებელია ამ ორი გასაოცარი მომღერლის ერთმანეთისგან გარჩევაც კი. აღსანიშნავია 1908 წელი, როდესაც „მეტროპოლიტენ ოპერაში“ უკვე საქვეყნოდ აღიარებულ ენრიკო კარუზოს მოუწია ბარიტონის პარტიის შესრულება, მან წარმატებით იმღერა პროლოგი ოპერაში „ჯამბაზები“. 1913 წელს ფილადელფიაში სპექტაკლ „ბოჰემაში“ კოლენის, ბანის პარტია იმღერა. მომღერლების ასეთი სახით შეცვლა საერთოდ არ ახსოვს საოპერო თეატრის ისტორიას. ასეთი გამობრწყინებები უხვად იყო კარუზოს სასცენო მოღვაწეობაში.

მკვითხველს უთუოდ დააინტერესებს, თუ როგორი სასიმღერო აპარატი და ანატომიური აღწერილობა გააჩნდა მომღერლის ორგანიზმს, რომელიც ასეთ ზღაპრულ და მდიდარ ხმას გამოსცემდა. ამ საკითხით დაინტერესებულები იყვნენ იმ დროის ცნობილი სამედიცინო წრის წარმომადგენლები, ლარინგოლოგები, ფიზიოლოგები. მათ მიიღეს თანხმობა კარუზოსაგან, რათა გარდაცვალების შემდეგ, ანატომიურად გამოეკვლიათ მისი ორგანიზმი. კვლევის შედეგებმა ყველა გააოცა. მომღერლის ხორხი და მისი „სასიმღერო მანქანა“ ფენომენალური იყო. ხორხის ქვედა მონაკვეთის სისქე აღემატებოდა მომღერალი ბანებისას. ენის დამაკავშირებელი გლანდებთან იყო წვრილი და ელასტიური, რაც სახმოიოგებს აძლევდა აქტიური რხევის საშუალებას tremolo-ს ემოციური გადმოცემისთვის და უზრუნველყოფდა ფართო დიაპაზონს. კარუზო იყო საშუალო სიმაღლის. მას ჰქონდა ფართო ბეჭები (მხრები) და ბურთისმაგვარი მკერდი. ერთი ჩასუნთქვით შეეძლო მკერდით გადაეწია როიალი რამდენიმე სანტიმეტრით.

ჩვეულებრივი მომღერლების სახმო იოგები არ აღემატება 16-18 მილიმეტრს, კარუზოსი კი 23 მილიმეტრი იყო. ერთი მეტრის მანძილზე იგი ანვითარებდა მომღერლებისთვის მიუღწეველ ხმის ძალას – 140 დეციბალს. სპეციალისტებმა დაითვალეს, რომ მისი ხმის ვიბრაცია შეადგენდა 560 რხევას წამში. ყვებიან იმასაც, რომ თითქოს კარუზომ მაღალი ნოტის აღების დროს ჩამოაგდო და დაამსხვრია მასთან ახლოს დაკიდებული ჭაღი. კარუზო ხმის გავარჯიშებას თითქმის ყველგან ცდილობდა. ლოს-ანჟელესში მისი გასტროლების დროს მიწისძვრა მოხდა და ლამის მთელი ქალაქი დაინგრა. ამ დროს, დარბაზიდან გამოსულმა კარუზომ თავის მდივანს ბრუნო ძირატოს ღიმილით მიმართა: **„ის მაღალი ნოტი რომ არ ამეღო, ამხელა ნგრევას არ გამოიწვევდაო!“**

ეს ყველაფერი თავისთავად სცილდება ჩვეულებრივი ადამიანის ყველა შესაძლებლობებს. ამიტომ იყო, რომ კარუზოს ფორტე პარტნიორებს აიძულებდა ყოფილიყვნენ მისგან დისტანცირებული.

რასაკვირველია, მხოლოდ ხმის ძალა არ განსაზღვრავს ამა თუ იმ მომღერლის მაღალ ხელოვნებას. კარუზოს მიერ ოსტატურად გადმოცემული განუმეორებელი სასიმღერო თვისებები, მისი უბადლო ხმით ნათქვამი შინაგანი ემოციები, შეგრძნებისა და აზროვნების წარმოუდგენელი ჰარმონია, შესაძლებლობას უქმნიდა მომღერალს ყოფილიყო ბელ კანტოს უდიდესი წარმომადგენელი, ამასთანავე ახლობელი ყველა, ნებისმიერი ეროვნებისა და კულტურის მქონე ხალხისათვის.

კარუზო ითვლება ფირზე ჩაწერის პიონერად. გრამფირფიტების რაოდენობის მიხედვით მას ალბათ ბადალი არ ჰყავს. მათი რაოდენობა 260-ს შეადგენს. წლების განმავლობაში ამ ჩანაწერებმა საყოველთაო აღიარება და სიყვარული დაიმსახურა, რაც მომღერლის უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ამ დაუოკებელი ნიჭით მოზღვავებულმა პიროვნებამ, თავისი პერიოდის ცნობილ ადამიანებზე შექმნილი მართლაც გასაოცარი კარიკატურული ნამუშევრები დაგვიტოვა, რომელიც თავისი დონით მნახველებში აღფრთოვანებას და გაკვირვებასაც კი იწვევს. მათი ნაწილი დღესაც ინახება „მეტროპოლიტენ ოპერის“ თეატრის მუზეუმში.

კარუზოს პირველი მეუღლე გახლდათ იტალიელი მომღერალი ადა ჯაკეტი, ვისთანაც ორი ვაჟი შეეძინა. მისი მეორე მეუღლე იყო ამერიკელი დოროტი ბენჟამინ ბლეკლენკი, მასთან ქალიშვილი ჰყავდა.

1913 წელს ბერლინში გასტროლების დროს თეატრის მესვეურებისთვის ცნობილი გახდა, რომ კარუზო თავგამოდებული მწეველი იყო, რომელიც თითქმის ყველგან ყრიდა ჩაუმქრალი სიგარის ნამწვებს. ამიტომ მას სპეციალურად მეხანძრე დაუნიშნეს, რომელიც ვედრით ხელში დაჰყვებოდა და ნამწვებს აგროვებდა. **„თუმცა მე, ცუდი ჩვეულების გამო, ბევრ სიგარას ვეწევი (კარუზო ხანდახან დღეში ორმოც სიგარას ეწეოდა), ყველა მომღერალს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს მინდა ვურჩიო, რაც შეიძლება შორს დაიჭირონ თავი სიგარეტისგან, რადგან იგი აუცილებლად უარყოფით გავლენას მოახდენს სახმო აპარატის მგრძნობიარე ქსოვილზე და ჯანმრთელობაზე“** – წერთა მომღერალი და მართლაც, საკუთარი ხმის ექსპლოატაციამ, უდიდესმა გადატვირთულობამ და სიგარის ხშირმა მოხმარებამ, ამ ფენომენალური აღნაგობის ადამიანის ფილტვების დაავადება გამოიწვია. იგი 1921 წელს, სრულიად ახალგაზრდა, შემოქმედებითი გაფურჩქვნის პერიოდში, 48 წლისა გარდაიცვალა!

კარუზომ დაგვიტოვა უმდიდრესი განძი, სიმღერის სახით, რომელიც დღესაც აოცებს მთელ მსოფლიოს. დაკრძალულია იტალიის ქალაქ ნეაპოლში.

გადაუჭარბებლად შეიძლებთ ითქვას, რომ იტალიურმა სიმღერის სკოლამ ყველაზე შთამბეჭდავ სიმაღლეებს კარუზოს პიროვნების წყალობით მიაღწია. ალბათ, ამაო იქნება ისეთი მომღერლის მოძებნა, რომელსაც კარუზომდე და მის შემდეგაც, მასზე უკეთეს ან მის მსგავს შემსრულებლად ჩავთვლიდით. „მეტროპოლიტენ ოპერის“ თეატრში წლების განმავლობაში მოღვაწე ვიოლონჩელისტმა ჯუზეპე დე მეამ კარუზოს გრამჩანაწერის მოსმენისას აღფრთოვანებულმა წამოიძახა: **„... ენრიკო კარუზოს მოსმენის შემდეგ, სამუდამოდ უნდა გაჩუმდეს ყველა მომღერალი!“**

ენრიკო კარუზოს პიროვნების და შემოქმედების შესახებ უამრავი წიგნი და მონოგრაფიული ნაშრომია გამოქვეყნებული, შექმნილია კინოფილმები. მასზე არა ერთ ცნობილ ადამიანს აქვს თავისი მოსაზრება გამოთქმული. მოვიყვანთ ზოგიერთს:

არტურო ტოსკანინი: ის ყველაზე დიდი ხელოვანი იყო, რომლებთანაც კი ოდესმე მიმუშავია.

ტიტარუფო, კარუზოს მეგობარი და კოლეგა: 1919 წელს „მეტროპოლიტენ ოპერაში“, „კარდინალის ქალიშვილის“ პრემიერაზე მომიწია დასწრება, სადაც ელეაზარის პარტიას ჩემი დიდი თანამემამულე კარუზო მღეროდა. იგი იმ საღამოს მიუღწეველი იყო. მისი სიმღერა იმდენად ძლიერ ზემოქმედებას ახდენდა, რომ მაყურებლის უმეტესობა ტიროდა. მათ შორის მეც ვიყავი. მისმა სახელმა გამარჯვების იმდენი დაფნის გვირგვინი დაიდგა საერთაშორისო მასშტაბით, რომლის მსგავსიც არ რგებია ვოკალური ხელოვნების არც ერთ წარმომადგენელს. მის ოქროსფერ ხმაში მოჩანდა მშობლიური ქვეყნის ცის სიკაშკაშე, აღელვებული ზღვის ტალღების მოძრაობა და ვულკან ვეზუვის ცეცხლი.

ჯაკომო პუჩინიმ, მოუსმინა რა კარუზოს ოპერა „ბოჰემაში“, აღფრთოვანებულმა შეჰყვირა: შენ თვით ღმერთისგან ხარ გამოგზავნილი, ვინაიდან ბედმა შენთან შეხვედრის საშუალება მომცა.

ბერნარდ შოუ: როდესაც მსახიობის ხელოვნება აიძულებს მსმენელს ფეხზე წამოდგეს და იტიროს, ის ან ღმერთია ან ეშმაკი.

თევდორე შალიაპინი: თქვენი ხმა ეს ის იდეალია, რომელსაც აქამდე მე მთელი ჩემი მოღვაწეობის მანძილზე მოთმინებით და ყურადღებით ვეძებდი.

ფერნანდო დე ლუჩია: მასზე მესმოდა, რომ იგი უდიდესი ტენორი იყო, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი თუ ლაპარაკი იყო რაღაც არაჩვეულებრივ სასწაულზე.

ედუარდ რეშკე: თქვენი მოსმენისას მაიძულებთ, რომ ვიტირო. ამ დროს რაღაც ამოუცნობი მღელვარება მეუფლება...

ᲒᲔᲚᲐ ᲥᲝᲥᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

ვოკალისტთა კონკურსების ლაურეატი, ქართული კულტურის ამაგდარი, მეცნიერების ასოცირებული დოქტორი, სიღნაღის საპატიო მოქალაქე.
ტელ. 551 49 19 97

პისიარტესტი – 72 საათის განმავლობაში!

საქართველოში შემომსვლელ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ვალდებულება ექნებათ, 72 საათის განმავლობაში ჩატარებული პისიარტესტის პასუხი წარმოადგინონ, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომის შემდეგ განაცხადა.

მისივე განმარტებით, მოთხოვნა შეეხება იმ ქვეყნების მოქალაქეებს, რომლებიდანაც მგზავრები ნაცვალგების პრინციპით შემოდიოდნენ, ანუ მათ მიმართ შეზღუდვები არ იყო დაწესებული.

„15 სექტემბრიდან საქართველოში შემომსვლელი ყველა უცხოელი, მათ შორის, ნაცვალგების პრინციპზე დაყრდნობით, რომელთაც არ ჰქონდათ ვალდებულება, ქვეყანაში თავისუფლად შემოდიოდნენ, მათ გაუჩნდებათ ვალდებულება, თან იქონიონ 72-საათიანი პისიარტესტი, რაც არის აუცილებელი, რათა ყველამ ერთად, ჩვენს კოლეგებთან, პარტნიორებთან ერთად, დავაზღვიოთ ჩვენი მოქალაქეების და მათ შორის, ჩვენი სტუმრების ჯანმრთელობაც და უფრო ეფექტურად ვმართოთ ვირუსის გავრცელება. კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, ეს ეხება ნაცვალგების პრინციპით იმ ქვეყნებს, რომლებსაც არანაირი შეზღუდვა არ ჰქონდათ, მათ დაუწესდებათ მსგავსი 15 სექტემბრიდან, რადგან ადამიანებს, რომელთაც უკვე ბილეთი აქვთ ნაყიდი და მოემგზავრებიან საქართველოში, რომ არაფერი დისკომფორტი არ შევუქმნათ“, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

მოთხოვნები ღია სივრცის მქონე კვების ობიექტებისთვის

ღია სივრცის მქონე საზოგადოებრივი კვების ობიექტებში ერთ მაგიდასთან 12 ადამიანის დასხდომა დასაშვები ხდება. აქამდე მოქმედი რეგულაციით ეს რაოდენობა ექვსით იყო განსაზღვრული.

„ქრონიკამ“ ექსკლუზიურად მოიპოვა ის რეკომენდაციები, რომლებიც ჯანდაცვის სამინისტრომ ღია სივრცის მქონე საზოგადოებრივი კვების ობიექტებისთვის შეიმუშავა.

მოთხოვნები კონკრეტულად ასე გამოიყურება:

- **ღია სივრცეში უზრუნველყოფილი უნდა იყოს მაგიდების და დასაჯდომი ადგილების განლაგება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით: მომხმარებელთა მაგიდებს შორის დაცული უნდა იყოს უსაფრთხო მანძილი, არანაკლებ 2 მეტრისა;**
- **სკამების საზურგეებს შორის მანძილი – არანაკლებ 1 მეტრისა;**
- **ერთ მაგიდასთან უნდა მოთავსდეს არაუმეტეს 12 მომხმარებელი;**
- **დამატებით, გამონაკლისის სახით შესაძლებელია 12 წლამდე მოზარდის ერთ მაგიდასთან განთავსება;**

- **იმ შემთხვევაში თუ ვერ ხერხდება 2-მეტრიანი უსაფრთხო დისტანციის დაცვა, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დროებითი დამცავი ბარიერი;**
- **გამასპინძლებისას უნდა გამოიყენონ ინდივიდუალური გამასპინძლების მეთოდი;**
- **სასმელებით მომსახურების სივრცეში (ბარი), ბარმენებთან მომხმარებლების პირდაპირი კონტაქტის თავიდან აცილების მიზნით, სასმელით მომსახურება უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინდივიდუალურად, მაგიდასთან მიტანის სერვისით;**

უზრუნველყოფილი უნდა იყოს შენობების გარეთ მაგიდებსა და საფეხმავლო სივრცეს შორის უსაფრთხო დისტანციის დაცვა.

თუ რესტორნები ხელმეორედ დაიკეტა, მათ სამუდამოდ დახურვა მოუწევთ!

ჰორეკას სფერო ძალიან ცუდ დღეშია. რესტორნები და სასტუმროები ფაქტობრივად გადარჩენაზე არიან. ბევრი რესტორანი დაიკეტა და ასე გაგრძელების შემთხვევაში, კიდევ ბევრი დაიხურება, – სარესტორნო ბიზნესის გამოწვევებზე და სამომავლო პროგნოზებზე „კომერსანტი“ საქართველოს კულინარიის ფედერაციის თავმჯდომარეს ბრენდ-შეფ ლევან კობიაშვილს ესაუბრა.

2020 წლის მთავარმა გამოწვევამ, კორონავირუსის პანდემიამ სარესტორნო ბიზნესისთვის ყველაფერი ძირფესვიანად შეცვალა. როგორც ლევან კობიაშვილი განმარტავს, გამოსავალი ისევ საბანკო სექტორის მხრიდან მხარდაჭერაშია, წინააღმდეგ შემთხვევაში კვების ბიზნესის კრახი გარდაუვალია.

„საკვები ისეთი რამეა, ყველას უყვარს გემრიელად მირთმევა, თუმცა ფინანსური საკითხის გამო რესტორნებს ხალხი დააკლდა. ჯერ კიდევ დიდად ვერ ვგრძნობთ, მაგრამ თუ საზღვრები არ გაიხსნა და რესტორნები კვლავ ჩაიკეტა, ძალიან გაგვიჭირდება. ამ კუთხით არა მხოლოდ საქართველო, არამედ მსოფლიოა ცუდ მდგომარეობაში. „რესტორნებს მთელი რიგი ვალდებულებები აქვთ. სახელმწიფოსაც ძალიან უჭირს შესაბამისად, ყველას ვერ დაეხმარება. ალბათ, ისევ საბანკო სექტორმა უნდა შეუჩეროს ვალდებულებები და კრედიტები. სხვა შემთხვევაში, თუ ისევ დაიკეტა რესტორნები, შემოსავალი არ იქნება და მათ უმეტესობას სამუდამოდ დახურვა მოუწევთ“, – აღნიშნავს ლევან კობიაშვილი.

ანი ცარციძე

◎ ხედვა ვაშინგტონიდან

ტომ ლოკი ამბობს...

როდის ერთვება FBI გამოძიებებში ამერიკის ფარგლებს გარეთ?

რა დროს და როგორ ერთვება გამოძიების ფედერალური ბიურო გამოძიებებში ამერიკის ფარგლებს გარეთ? გამოძიების ჩატარების შემთხვევაში რამდენად რჩება ბიურო ჩართული სასამართლო პროცესში და რა ხდება მაშინ, როცა მასპინძელ ქვეყანაში სასამართლო პროცესი შეგნებულად ხარვეზებით მიმდინარეობს? გამოძიების ფედერალური ბიუროს ყოფილი მაღალჩინოსანი და აგენტი, რომელმაც ბიუროს პირველი საქმე გამოიძია ამერიკის საზღვრებს გარეთ, ამბობს, რომ პირველ რიგში ქვეყანა და საქმე გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს.

„ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში გამოძიების ფედერალური ბიუროს ერთ-ერთი ცნობილი ყოფილი გამომძიებელი **ტომ ლოკი** ამბობს, რომ **„ამერიკასთან რაღაც კავშირი უნდა არსებობდეს. მაგალითად, როცა თბილისში ამერიკის პრეზიდენტის ხელყუმბარით აფეთქების მცდელობა იყო, ასეთ შემთხვევაში ბიურო აუცილებლად დაიწყებს გამოძიებას. გასამართლებას რაც შეეხება, თუ შეერთებულ შტატებს მიაჩნია, რომ მასპინძელი ქვეყნის პროკურატურა სათანადოდ აწარმოებს საქმეს, გამოძიების ფედერალური ბიურო საქმის ამერიკაში გასამართლებას არ მოითხოვს, რადგან გასამართლებისთვის ადამიანი ამერიკაში ფიზიკურად უნდა წარდგეს სასამართლოს წინაშე, რაც მეორეს მხრივ, ექსტრადიციას და სხვა რთულ პროცედურებს უკავშირდება.“**

კითხვაზე, თუ რა ხდება მაშინ, როცა ბიურო ქვეყნის თხოვნით გამოძიებაში ჩაერთო და ადგილობრივი სამართალდამცავი სისტემა ბიუროსთვის მისაღები სტანდარტებით არ ან ვერ აგრძელებს საქმეზე მუშაობას, ლოკი ამბობს, რომ **„თუ გამოძიება დამთავრდა და არ გამოიკვეთა მისი წარმატებით დასრულების გზები, ამ შემთხვევაში ბიურო დასახმარებლად ბევრს ვერაფერს გააკეთებს. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ FBI საქმეში ჩართულია, მაგრამ ადგილობრივ სამართალდამცავ სისტემაში გამოძიების ობიექტურობა დაირღვა, ბიურო კომენტარს გააკეთებს და ეს კომენტარი ოფიციალური წყაროებით გამოქვეყნდება. FBI იტყვის, რომ ადგილობრივი გამოძიების ნიშანდობლივი დეტალები არ შეესაბამება იმ ინფორმაციას, რაც ბიუროს გამოძიების შედეგად დადგინდა. ანუ, იქნება ოფიციალური განცხადება და მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეს საკითხი შეიძლება სახელმწიფო დეპარტამენტს და თეთრს სახლს გადაეგზავნოს ნიშანდობლივი კომენტარით, რომ გამოძიების ობიექტურობა აღნიშნული ქვეყნის მთავრობის მოქმედებების გამო დაირღვა.**

დახმარების აღმოჩენის შემთხვევაში, FBI ქვეყანას ანგარიშვალდებულებას აკისრებს, რომ საქმის სასამართლო პროცესი ობიექტური იქნება. ბიუროს საქმიანობის ამ და სხვა დეტალებზე მის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ყოფილ გამომძიებელ ტომ ლოკთან სრული ინტერვიუს ნახვა შეგიძლიათ შაბათს, 5:30-ზე „ამერიკის ხმის“ ყოველკვირეულ გადაცემაში „ხედვა ვაშინგტონიდან.“

ია მეურმიშვილი

ინდოეთის დედაქალაქში მეტრომ მუშაობა განაახლა

ინდოეთში, დელიში, თითქმის 6 თვის შემდეგ, კორონავირუსის პანდემიის გამო დაკეტილი მეტრო ამოქმედდა. მეტრო ინდოეთში გადაადგილების ყველაზე გავრცელებული საშუალებაა. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე ერთი დღით ადრე, დელის მეტრო 2.7 მილიონამდე მგზავრს მოემსახურა.

მეტროს გახსნის შემდეგ, მგზავრებს სოციალური დისტანციის დაცვა, პირბადის ტარება ევალებათ. სავალდებულოა ტემპერატურის გაზომვაც. ბოლო 24 საათის განმავლობაში, ახალი კორონავირუსით ინფიცირებულთა რაოდენობით, ინდოეთმა ბრაზილიას გადაასწრო და მეორე ადგილზეა. დღე-ღამეში ქვეყანაში კოვიდინფიცირების 90 ათასზე მეტი ახალი შემთხვევა გამოვლინდა და საერთო, ჯამური მაჩვენებელი 4 204 613-ს გაუტოლდა. ინდოეთში ვირუსს უკვე 71 642 ადამიანი ემსხვერპლა.

სასჯელი ჯაკარტულად

კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებული ნიღბის ტარება ბევრს უჭირს, თუმცა როდესაც ნახავთ, რა სასჯელი მოიფიქრეს მათთვის, ვინც ნიღბის ტარებაზე უარს აცხადებს, მათ ადგილზე ყოფნა არ მოგინდებათ.

ჯაკარტის პოლიციას უფლება აქვს ადამიანები, რომლებიც სამედიცინო ნიღაბს არ ატარებენ, ჯარიმის გადახდის ნაცვლად, რამდენიმე წუთით კუბოში ჩაწოლით დააჯარიმონ. ჯარიმის ახალი ფორმის მიღების შესახებ გადაწყვეტილება იმის გათვალისწინებით მიიღეს, რომ მოქალაქეები ფულადი ჯარიმის გადახდა უსახსრობის გამო ვერ ახერხებდნენ. ამდენად, კანონის დამრღვევებს არჩევანის გაკეთება – ჯარიმის გადახდას, რამდენიმე წუთით სპეციალურად მომზადებულ კუბოში ჩაწოლასა და სოციალური სამუშაოს შესრულებას შორის მოუწევთ.

უკრაინის პატრიარქს კორონავირუსი დაუდგინდა

უკრაინის საპატიო პატრიარქ ფილარეტს კორონავირუსი დაუდგინდა, – იუწყება უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის პრესსამდივნო. გავრცელებული ცნობით, 91 წლის პატრიარქს კორონავირუსი რუტინული სამედიცინო შემოწმების დროს დაუდგინეს. ამ დროისთვის, პატრიარქი ფილარეტი საავადმყოფოში გადის მკურნალობას და მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. უკრაინის ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, ქვეყანაში დაფიქსირდა COVID-19 ინფიცირების 130 951 შემთხვევა. 2761 ადამიანი გარდაიცვალა, 60 613 გამოჯანმრთელდა.

გენო კალანდია ხშირად სტუმრობდა მეგობარს.

აფერუმ, წიგნის კაცო, ბატონო კახმეგ!..

პირველად **გამომცემლობა „ინტელექტის“ ოფისში მაშინ მოვხვდით, როდესაც ამ შესანიშნავმა ორგანიზაციამ თავისი საავტორო სერიით „პოეტის 100 ლექსი“ გამოსცა აწგარდაცლილი უნიჭიერესი პოეტის, შესანიშნავი ჟურნალისტის, ჩვენი გაზეთის თანამშრომლის ლაშა გახარიას ლექსების კრებული. მოწვეულ სტუმრებს შორის პოეზიის უამრავი თაყვანისმცემელი გახლდათ. ყველა გულითად მადლობას უხდიდა მაშინ უკვე სახელმოხვეჭილი გამომცემლობის თავკაცს ბატონ კახმეგ კუდავას.**

იმ დღიდან მოყოლებული წლებია, გამომცემლობის მიერ ჩატარებულ არაერთ ღონისძიებას დავსწრებივართ. კახმეგის თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით ტრადიციად იქცა შეხვედრები ახალგაზრდა მწერლებთან, ცნობილ კლასიკოსთა ნაწარმოებების გამოცემა-წარდგინება, უცხოელი ავტორების მოწვევა, ცნობილ მთარგმნელთა მიერ გამოცემული მსოფლიო ლიტერატურის განხილვა-წარდგინება.

ჩვენი მეგობრობაც იმ დღიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება.

კახმეგ კუდავა თანამედროვე მწიგნობართა, ბიბლიოფილთა და წიგნის მოყვარულთა შორის ერთ-ერთ გამოცდილ, პროფესიონალ და მოთავე გამომცემლად იქცა. გამომცემლობებს შორის, რომლებიც ღვთის წყალობით და, ჩვენდა სასიხარულოდ, მრავლად არის საქართველოში, მის მიერ წლების წინ დაარსებული „ინტელექტი“ და „არტანუჯი“ ერთ-ერთ უპირველეს დაწესებულებებად იქცნენ და არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიო ასპარეზზეც გაითქვეს სახელი.

სწორედ კახმეგის დამსახურებაა, გამომცემლობა „ინტელექტის“ გრიფით ორ ათეულ წელზე მეტია გამოდის სახელმძღვანელოები ქართულენოვანი და არაქართული სკოლებისთვის. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ თანამედროვე კონკურენციის პირობებში, სხვადასხვა დაბრკოლებებისა და ეკონომიკური ქაოსის დროს საქართველოს მოსწავლეებს, ათიათასობით ბავშვს შესანიშნავი, მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული, ეროვნული მიზნებით ნასაზრდოები პროდუქცია მიეწოდება.

გამომცემლობა ყოველწლიურად სამასზე მეტი დასახელების წიგნს ბეჭდავს — მხატვრული და დოკუმენტური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები, კლასიკური და თანამედროვე პროზა და პოეზია, მხატვრულ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა, არამარტო ქართულ ენაზე შექმნილი, არამედ მსოფლიო სხვადასხვა ენიდან თარგმნილი.

კახმეგმა მართლაც საოცარი, პროფესიონალი და ლიტერატურის უზომოდ ტრფიალი თავოსანი პიროვნებები შეკრიბა, გვერდით დაიყენა და შექმნა ისეთი მძლავრი სარედაქციო ჯგუფი, რომელსაც მსოფლიოს ნებისმიერი უძველესი თუ თანამედროვე წამყვანი გამომცემლობები ინატრებდნენ. ისინი ყოველგვარი სიახლის დანერგვას არ ერიდებიან, დიდი რისკისა და გემოვნების საფასურია ის, რომ ქართველმა წიგნის მოყვარულებმა უკვე დიდი ხანია შეიყვარეს ისეთი საავტორო სერიები, როგორიცაა **„ასი ლექსი“, „ნობელის პრემიის ლაურეატები“, „თან საკითხავი“, „აკრძალული ლიტერატურა“,** რომელიც პოლიტიკური თუ რელიგიური თვალთახედვით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში წლების მანძილზე ტაბუდადებულად ითვლებოდა. გამომცემლობა „არტანუჯის“ მიერ (რომელიც საისტორიო ჟურნალ „არტანუჯის“ ბაზაზე ოცი წლის წინ დაარსდა), გამოცემული საისტორიო-სამეცნიერო თემატიკის წიგნები, საბავშვო, მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა, პოპულარულ ადამიანთა ბიოგრაფიები და მემუარები, ლექსიკონთა ფართო სპექტრი და რაც მთავარია, მათ ლიდერობა მოიპოვეს ღია ბარათების გამოცემის მხრივაც.

თავად კახმეგ კუდავა ამ ტიტანურ საქმეს ჩვეული სიდინჯითა და პროფესიონალიზმით უძღვება. ზემოჩამოთვლილი სერიალებიდან მისი ავტორობით მრავალი წიგნი გამოვიდა, მათ შორის ყველაზე პოპულარულად ითვლება რვაასგვერდიანი „ნობელიანტების ლექციები“.

რამდენიმე წლის წინ გამომცემლობა „არტანუჯმა“ დიდი მამულიშვილური საქმე ითავა, გადაწყდა პირველად გამოცემულიყო დიდი ქართველი ისტორიკოსის, მეცნიერის, საზოგადო მოღვაწისა და ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი მამულიშვილის ექვთიმე თაყაიშვილის მრავალტომეული. კახმეგის თაოსნობით შეიქმნა ცნობილ ისტორიკოსთა და მეცნიერთა ჯგუფი, რომლებმაც მართლაც შეუძლებელი შეძლეს და მკითხველს უკვე მიაწოდეს მრავალტომეულის რვა ტომი (რედაქტორი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი).

ზვიად კვარაცხელიასთან ერთად „ინტელექტის“ მიერ გამოცემულ ნინო ხარატიშვილის რომანის წარდგინებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ სარედაქციო-საგამომცემლო საქმეში ბატონ კახმეგს გვერდში უდგანან, სხვა მრავალ პროფესიონალთან ერთად, მისი ვაჟი, ცნობილი ისტორიკოსი და პედაგოგი **ბუბა კუდავა** და სიძე, შესანიშნავი მწერალი და პუბლიცისტი **ზვიად კვარაცხელია**. მართლაც თავდაუზოგავი შრომის, უძილო ღამეების შედეგია, რომ ქართული წიგნი, რომელიც ამ ორ გამომცემლობაში იბეჭდება, პოპულარულია მთელ მსოფლიოში. გამომცემლობები ყოველწლიურად მონაწილეობენ რამდენიმე საერთაშორისო წიგნის ფესტივალზე და აქტიურად ეწევიან ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციას ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მათივე თაოსნობით თბილისში გახსნილი ლიტერატურული მაღაზია-სალონი **„შაქრო ბაბუა“** ყველა ასაკის ქართველ წიგნის მოყვარულთა და მწერალთა, საყვარელ და პოპულარულ თავშეყრის ადგილად იქცა.

ქრისტინე და კაკო ფალავებთან ერთად.

წიგნის სიყვარული ბავშვობიდან დაჰყვა, მან ასპარეზად მეცნიერება აირჩია და პროფესიით ფიზიკოსმა, არც თუ ურიგო პერსპექტივების მქონე პიროვნებამ, ცხოვრების შუაგულში, გადაწყვიტა ხელი საგამომცემლო საქმისთვის მოეკიდა. ამას წინათ ეკონომიკური კრიზისის, პანდემიისა და სხვადასხვა პრობლემით დახუნძლული ყოფითი პირობების ფონიდან გამომდინარე, საუბრისას გაგვიმხილა **„ვინ ვიქნებოდი ახლა, ამ ჩემი საყვარელი საქმისთვის რომ არ მომეკიდა ხელი და არჩეულ პროფესიას გავყოლოდიო, — შემდეგ ჩაფიქრდა და თავადვე გასცა პასუხი, — ალბათ, რიგითი პედაგოგი, ან საშუალო დონის ფიზიკოსი... მაგრამ ამით რამეს მოვუტანდი სასიკეთოს დღევანდელ საქართველოს“?**

კარგი საქმის კეთებით და შენნაირი გულქართლი ადამიანების წყალობით ყოველთვის მოუტანდი სარგებელს შენს სამშობლოს, ჩვენო კახმეგ, მარტო ის რადა ღირს, რომ სამი, მართლაც საქართველოსთვის თავგადადებული შვილი აღზარდე, ხარ დიდი ოჯახის ერთგული მამა, მეუღლე, ბაბუა, მაგრამ ახლა, როდესაც განათლებული და წიგნის მოყვარული ადამიანი იშვიათია და ყოველმხრიდან ხელი ეწყობა „უწიგნურობას“, შენ ერთ-ერთი ნათელი წერტილი ხარ, მცირეოდენ ადამიანებთან ერთად, რომელმაც საქართველო უნდა გაანათოს, გაანათლოს, წიგნის სიყვარული ჩაუნერგოს მომავალ თაობას. შენ ეს კარგად შეძელი, მიუხედავად უამრავი პრობლემისა, უკან არ იხევ და მამულიშვილურ საქმეს აკეთებ. ღმერთმა გვიმრავლოს შენნაირი თავდადებული ქართველები!

ბოლოს კი სიურპრიზად — პირადად ჩვენი და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთელი კოლექტივის სახელით გილოცავთ დაბადების დღეს, საიუბილეო თარიღს. 75 წელი შენნაირი შრომისმოყვარე, ენერგიული, პროფესიონალი და საქმისთვის თავდადებული ადამიანისთვის ცხოვრების ნახევარია. კიდევ ბევრჯერ გაგეხარებინოს ქართველი მკითხველი, მრავალი წელი შენი ერთგული ჯგუფის მიერ გამოცემული წიგნებით შეეღოთ სკოლის კარი საქართველოს პატარა მოქალაქეებს და შენ მიერ გამოცემული წიგნებით აღზრდილიყვნენ, დაკვალიანებულიყვნენ და ჩვენს ლამაზ სამშობლოს ისეთი ერთგულებით ემსახურონ, როგორც შენ ცდილობ და აკეთებ. გაგიმარჯოს და იხარე ჩვენო ერთგულო და საყვარელო ადამიანო!!!

გამეთ „საქართველოს რესპუბლიკის“
თანამშრომელთა სახელით
სპარტაკ ძოგულია, გურამ გოგიაშვილი,
ალეკო ასლანიშვილი, მამუკა ვაშაკიძე.

თვის ბოლოს თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი გველის

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით, 22-27 სექტემბერს, „ექსპო ჯორჯიაში“ თბილისის XXII წიგნის საერთაშორისო ფესტივალი ყველა რეგულაციის დაცვით ჩატარდება.

პოსტპანდემიური ვითარებიდან გამომდინარე, ფესტივალის მიმდინარეობის პერიოდი გახანგრძლივდა და საგამოფენო სივრცე ტრადიციული 4 დღის ნაცვლად 6 დღის განმავლობაში უმასპინძლებს მსურველებს. აღნიშნული ცვლილება აუცილებელია ფესტივალზე მაქსიმალურად ბევრი მკითხველის მისაღებად, ვინაიდან „ექსპო ჯორჯიას“ მე-11 პავილიონში ერთდროულად დასაშვები ადამიანების რაოდენობა შეზღუდული იქნება. სტუმრობის მსურველთათვის კი წინასწარი რეგისტრაციის სისტემა იარსებებს.

ფესტივალი მომხმარებელს წიგნების შეძენის ტრადიციული ფორმის გარდა, ახალ შესაძლებლობებსაც სთავაზობს: ექსპო ჯორჯიას მე-11 პავილიონში, წიგნების უშუალოდ გამომცემლობების სტენდებზე შეძენა; ექსპო ჯორჯიას ეზოში, მე-11 პავილიონის მიმდებარე ტერიტორიაზე (პავილიონში შესვლის გარეშე), წინასწარ შერჩეული წიგნების გამომცემლობების ოპერატორებთან შეძენა; წიგნების შეძენა ონლაინ რეჟიმში, სახლიდან გაუსვლელად, საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ვებ-გვერდზე - **[www.gpba.ge]www.gpba.ge**

ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად 40-ზე მეტი გამომცემლობა დარეგისტრირდა. თითოეული მონაწილე ტრადიციულად სპეციალურ საფესტივალო ფასდაკლებას შესთავაზებს მკითხველებს.

ფესტივალის ლიტერატურულ-საგამომცემლო პროგრამისთვის მთავარი სცენა „ექსპო ჯორჯიას“ ეზოში, ღია ცის ქვეშ განთავსდება და ექვსივე საფესტივალო დღის განმავლობაში სრულად იქნება დატვირთული. ფესტივალის პროგრამა მოიცავს ახალი წიგნების წარდგინებებსა და ქართველ მწერლებთან შეხვედრებს; უცხოელი ავტორებისვიდეოჩართვებს; საბავშვო პროგრამას საგამომცემლო-პროფესიულ პროგრამას და სხვა. ფესტივალზე დასწრების შესაძლებლობა ნებისმიერ მსურველს ექნება.

თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის მხარდამჭერები არიან თბილისის მერია და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და მწერალთა სახლი.

◎ ფეხბურთი

სიმწარეც, სიტკბოც...

როგორც იქნა, წერტილი დაესვა კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულ გაჭიანურებულ სანაკრებო პაუზას და ამ დღეებში ერთმანეთის მიყოლებით ერთბაშად ჩვენი ქვეყნის ორი გუნდი ვიხილეთ საქმეში.

ვინაიდან კალენდრის მიხედვით ჯერ ვასილ მაისურაძის გაწვრთნილმა ახალგაზრდებმა ითამაშეს, ჩვენც დავიცვათ თანმიმდევრობა და გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის უმაყურებლო სტადიონზე ფრანგებთან გამართულ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე წრის შესარჩევ შეხვედრაზე ვისაუბროთ.

გემახსოვრებათ, რომ შარშან, ოღონდ მაშინ გია ცეცაძის თავკაცობით, იმავე მრისხანე მეტოქესთან სტუმრად კინაღამ ხმაურიანი სენსაცია გამოვჭედეთ, რაშიც ხელი მსაჯის მიერ უსასრულოდ გაწელილ დამატებულ დროში გამოგონილმა არარსებულმა პენალტმა შეგვიშალა — 2:3.

მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, რომელსაც, სამწუხაროდ, მხოლოდ „ჯვაროსანთა“ ლიდერები კვარაცხელია, დავითაშვილი, არაბიძე და კამპანია შეეწირა, რომლებიც ამჯერად სხვადასხვა მიზეზით გამოაკლდნენ პარტნიორებს მაშინ, როცა „სამფეროვნებმა“, ტალანტთა უსაზღვრო რაოდენობის შესაბამისად, ტრადიციისამებრ, უძლიერესი შემადგენლობა შეკრიბეს. სამაგალითოდ მხოლოდ ლონდონის „არსენალის“ უნიჭიერესი საყრდენი ნახევარმცველის გენდუზის დასახელებაც კმარა, რომელსაც მხარს სხვა ლეგიონერებთან ერთად „პარი სენ-ჟერმენის“, „ლიონის“, „ნანტის“, „ნიცისა“ და „ლიგა — 1“-ის სხვა ტოპ-კლუბების გამორჩეული წარმომადგენლებიც უმშვენებდნენ.

სრულფასოვან შემსრულებელთა დეფიციტით გამოწვეული საკადრო პრობლემები გადამწყვეტი აღმოჩნდა, რადგან უთანასწორო ბრძოლა ისე დასრულდა, ფავორიტის კარს ხიფათი ერთხელაც ვერ შევუქმენით და აქცენტს წინა ხაზზე ეულად გადასროლილი სპანდერაშვილის მისამართით უაზრო ჩაკიდებებზე ვაკეთებდით. რომელი საუკუნეა?

ბუნებრივია, როგორც ტანმაღალ კამარასა და კუნდეს, ისე რიპოლის დანარჩენ შეგირდებს არ გასჭირვებიათ მასპინძელთა ასეთ მოძველებულ ტაქტიკასთან გამკლავება, აუღელვებლად აკონტროლებდნენ როგორც ბურთს, ისე მოვლენათა განვითარებას და ღირსეულად, ზედმეტი ოფლისღვრის გარეშე ჩაიწერეს აქტივში მორიგი სამი ქულა — 2:0 (შვეიცარია — სლოვაკეთი 4:1).

ამ გამარჯვებით მათ ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებისა და ელიტრაუნდში პირდაპირ გადასვლის შანსი შეინარჩუნეს, რაშიც სატურნირო ცხრილის სათავეში შექმნილი ვითარებაც დაგარწმუნებთ: **შვეიცარია — 15, საფრანგეთი — 12, სლოვაკეთი, საქართველო — 6-6 ქულა**.

ვინაიდან შვეიცარიაში მატჩი 1:3 წააგეს, ფრანგებს შინ 2:0 ან სამბურთიანი რევანშის აღება მართებთ და მიზანსაც მიაღწევენ, ჩვენ კი მესამე ადგილის დასაკავებლად სლოვაკებს უნდა ვძლიოთ, ვისთანაც შარშან გასვლაზე შეხვედრაც დავთმეთ და სკანდალური ჩხუბიც.

* * *

მოგეხსენებათ, გულშემატკივრები, ყველაფრის მიუხედავად, მაინც ოპტიმისტებად ვრჩებით, ამიტომ იმედს ვიტოვებდით, რომ ხასიათს ეროვნული ნაკრები გამოგვიკეთებდა, რომელიც ერთა ლიგის მეორე გათამაშების C დივიზიონის სასტარტო შეხვედრას ტალინში ესტონელებთან მართავდა. საბედნიეროდ, ამჯერად ჩვენი მოლოდინი გამართლდა — ვლადიმირ ვაისის დამოძღვრილმა „ჯვაროსნებმა“ ყველა კომპონენტში დაჯაბნეს მეტოქე, რაც მთავარია, ფეხბურთის მსგავსად ითამაშეს და ტურნირი გამარჯვებით გახსნეს — 1:0.

ვინაიდან აღნიშნული მატჩი, უპირველესად, ბელარუსთან 8 ოქტომბერს დანიშნული ყოფნა-არყოფნის ბრძოლისათვის მზადების კონტექსტში განიხილებოდა, ამიტომაც ვანიჭებთ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმ ფაქტს, რომ, ბოლოსდაბოლოს, მინდორზე ჩვენი გუნდის დამრტყმელი ტრიო გამოვიდა ჩაკვეტაძის, ოქრიაშვილისა და კვარაცხელიას შემადგენლობით, რომელმაც უამრავი პრობლემა შეუქმნა მასპინძელთა დაცვას. ლოგიკურიცაა, რომ გადამწყვეტი გოლი ბალტიისპირელებს კაჭარავამ სწორედ ამ უკანასკნელის ფლანგური გადაცემით გაუტანა. ისიც სათქმელია, რომ მთელი რიგი ლიდერები ორივე გუნდს აკლდნენ (მაგალითად, ჩვენ — ანანიძე, ყაზაიშვილი, კაშია, გვილია), თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია სტუმართათვის საკუთარი შესაძლებლობები ღირსეულად წარმოეჩინათ.

სხვათა შორის, იმავე დღეს ბელარუსი ალბანეთთან პირწმინდად დაიჩაგრა — 0:2 და პირდაპირ მოვჭრით, რომ ჩვენი მომავალი მეტოქე ოპტიმალური კონდიციებიდან საკმაოდ შორსაა. ვინ იცის, იქნებ გარკვეულწილად ეს მინსკის ქუჩებში განვითარებული დრამატული პოლიტიკური მოვლენების ბრალიცაა, რომელიც, შესაძლოა, მიხეილ მარხელის შეგირდებს დამატებით ფსიქოლოგიურ წნეხში აქცევს, მაგრამ უდავოა, რომ დღევანდელი მოცემულობით ჩვენ შეუდარებლად უკეთეს მდგომარეობაში ვართ.

ვისურვოთ, რომ დარჩენილ ერთ თვეში არსებული სტატუს-კვო შევინარჩუნოთ.

ჩრდ. მაკედონია — სომხეთი 2:1.

დღეს: ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენა“. 20 საათი. საქართველო — ჩრდ. მაკედონია. პირდაპირი ტელერეპორტაჟი — საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე.

გიორგი შოთაძე

◎ ოკეანის გაღმა — ## ლიდერის ფაქტორი

ტყუილად როდია ნათქვამი, ნაღდი ნბა რეგულარული სეზონის შემდეგ, პლეი-ოფებიდან იწყებაო. ამ მოსაზრებას საფრთხე ვერც კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ შეუქმნა, რის გამოც რჩეულნი ორლანდოში არიან შეკრებილნი და იქ ავლენენ წლევანდელი ფორსმაჟორული ჩემპიონატის გამარჯვებულს.

ამას წინათ ვივარაუდეთ, რომ ძნელად თუ მოიძებნებოდა ძალა, რომელიც „ლეიკერსის“ ზღაპრულ დუეტს — ლებრონ ჯეიმსსა და ენტონი დევისს გაანეიტრალებდა. აღმოჩნდა, რომ ასეთი რეცეპტი არსებობს და მას „ჰიუსტონი“ ჰქვია ჯეიმს ჰარდენის თამადობით, რომელმაც აღმოსავლეთის კონფერენციის ნახევარფინალური სერიის პირველ შეხვედრაში კალიფორნიელებს 36 ქულა ჩაუგდო და, რომ იტყვიან, დახატა — 112:97.

მოგეხსენებათ, „როკეტსს“, თუნდაც რასელ ვესტბრუკის სახით, სხვა ვარსკვლავებიც ჰყავს, მაგრამ ამჯერად „მეფისა“ და კამპანიის დასამხობად ჰარდენის შესრულებული სოლოც საკმარისი აღმოჩნდა.

თავმოყვარეობაშელახულმა ლოს-ანჟელესელთა ყოჩებმა გუშინ „გამოიღვიძეს“ და მეორე მატჩის მოგებით — 117:109 სერიაში ანგარიში გაათანაბრეს — 1:1. დევისი — 34 ქულა, 10 მოხსნა; ჯეიმსი — 28 ქულა, 11 მოხსნა, 9 შედეგიანი გადაცემა.

ამავე კონფერენციაში „კედელთანაა მიყენებული“ რეგულარული სეზონის გამარჯვებული „მილუოკი“, რომელიც 0:3 მარცხდებოდა „მაიამისთან“. სხვათა შორის, აქამდე ნბა-ს ისტორიაში ასეთი ჩამორჩენის შემდეგ საბოლოო წარმატება არავის მოუპოვებია.

მართალია, გუშინ „ბაქსმა“ დამატებით დროში სძლია მეტოქეს — 118:115 და სხვაობა შეამცირა — 1:3, მაგრამ ეს გაბრძოლება საკმაოდ ძვირი დაუჯდა, რადგან ჯერ კიდევ პირველ ტაიმში ფეხი გადაიბრუნა და შესაცვლელი გახდა გუნდის ლიდერი იანის ანტეტოკუნმპო. მის არყოფნაში პარტნიორებს მიდლტონმა უშველა — 36 ქულა, 10 მოხსნა.

საინტერესოდ ვითარდება მოვლენები დასავლეთის კონფერენციის ნახევარფინალში „ტორონტოსა“ და „ბოსტონის“ წყვილში, სადაც კავაი ლეონარდის კანადურმა კლუბმა მეოთხე მატჩის მოგებით — 100:93 სერიაში ანგარიში გაათანაბრა — 2:2.

ვიტალი ჯაფარიძე



◎ სკანდალი — ## ჯოკოვიჩის „ავტოგოლი“

ამერიკის წლევანდელ ღია ჩემპიონატში არ თამაშობენ როჯერ ფედერერი და რაფაელ ნადალი, რამაც დიდი სლემის მორიგი ტიტულისკენ მწვანე შუქი აუნთო მსოფლიოს პირველ ჩოგანს ნოვაკ ჯოკოვიჩს.

სერბის შანსებს კიდევ უფრო ზრდიდა კორონავირუსის პანდემიის გამო შეწყვეტილ-განახლებული სეზონის შთამბეჭდავი წაუგებელი სერია, რომელმაც ზედიზედ 26 მოგებული შეხვედრა მოიცვა.

და აი, ბომბი იქ გასკდა, სადაც არავინ ელოდა — ნიუ იორკის „ფლეშინგ მიდოუს“ კორტზე გამართულ მერვედფინალში მოხდა ფაქტი, რის გამოც „ნოლე“ ტურნირიდან მოხსნეს.

დისკვალიფიკაციის მიზეზი გახდა სკანდალური ეპიზოდი, რომელიც პირველი პარტიის მიწურულს დაფიქსირდა ესპანელ კარენო ბუსტასთან მატჩში. კერძოდ, მეთერთმეტე გეიმში პირენეელმა ბრეიკი შეასრულა და დაწინაურდა — 6:5, გაღიზიანებულმა ბალკანელმა კი ბურთი გამეტებით მოისროლა და შემთხვევით იგი ერთ-ერთ მიმწოდებელს ყელში მოარტყა.

მართალია, ფავორიტი მაშინვე მივარდა დაზარალებულთან და ბოდიშების მოხდა დაუწყო, მაგრამ მსაჯებმა და ასპარეზობის ორგანიზატორებმა ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ იგი მაინც მოკვეთეს.

შეგახსენებთ, რომ ჯოკოვიჩი შარში პანდემიის დასაწყისშიც გაეხვა, როცა აცხადებდა, ვირუსი საერთოდ არ არსებობს და ამით ზოგ-ზოგიერთები ფულს აკეთებენო, ხოლო მოგვიანებით თავისივე მოწყობილი ტურნირის მსვლელობისას ინფიცირებულმა სხვებსაც გადასდო ვირუსი.

მოკლედ, ასეა თუ ისე, ამერიკის 2020 წლის ღია ჩემპიონატს ყველა ვარიანტში ახალი ტრიუმფატორი ეყოლება, რადგან ბრძოლას შემორჩენილთაგან ტახტზე აქამდე არავინ ასულა.

კობა კობახიძე

პირველი „მორისი“ სენაკში

სიახლე მუდამ იწვევს მოსახლეობის კმაყოფილებას. ბოლო წლებია, კოლხურ კოპწია ქალაქ სენაკს არ აკლია სიახლენი.

დასასრულს მიუახლოვდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე აკაკი ხორავას სახელობის თეატრის სრული რეაბილიტაცია. განახლდა სამხატვრო გალერეის შენობა, ახალი ფუნქცია შეიძინა მან. მოეწყო საკონფერენციო დარბაზი, სადაც მნიშვნელოვანი ღონისძიებები იმართება. ქალაქის დასვენების პარკის სამხრეთი მონაკვეთი განახლდა და გაფართოვდა, ისე რომ ყვავილებით მორთული, ერთობ მიმზიდველია მოსახლეობისათვის და დასასვენებლად სასურველი.

ახლახან ვაგზლის მოედანზე, თვალსაჩინო ადგილას დაიდგა გამჭვირვალე ჩარჩოში ჩასმული, ძველი მოდელის ავტომობილის მაკეტი. რომელიც მნახველთა დიდ ინტერესს იწვევს და წარმოადგენს წარსულის ნათელი დღეების გახსენების კარგ მაგალითს. ძველი მანქანის მაკეტი მაგალითია იმისა, რომ თითქმის საუკუნენახევრის წინათ სენაკის ქუჩებში სწორედ ამგვარი, ევროპიდან ჩამოყვანილი ავტომობილი დაგორავდა.

ეს იყო პირველი ავტომობილთაგანი საქართველოში. მაშინ სენაკში ამ მოვლენამ დიდი ინტერესი გამოიწვია. თუმცა, დღესაც არ კარგავს მოსახლეობა ინტერს გარდასულ დღეთა მიმართ, რადგან აინტერესებთ, როგორი იყო მეოცე საუკუნის დასაწყისში ადამიანთა გადაადგილების საშუალება.

მისასალმებელია, რომ მუნიციპალიტეტის მერის ლევან კუპრეიშვილის, მისი მოადგილეების: გრიგოლ ბაღათურიასა და კახაბერ კუპრეიშვილის ინიციატივით მოხერხდა შს სამინისტროს არქივში ნაპოვნი ფოტოსურათის მიხედვით ძველი ავტომობილის მაკეტის შექმნა, ქალაქის ცენტრში დადგმა და პატივის მიგება მისი ქართველ მფლობელისადმი.



როგორ მოხდა ეს ყოველივე?

აზნაურმა ვარლამ გვათუამ, რომელიც გადმოცემით, სოჭში აფთიაქების ქსელის მფლობელი იყო, ევროპიდან, მძღოლთან ერთად გამოიწერა 10 ცხენისძალიანი, ოთხადგილიანი „მორისი“. როგორც ამბობენ, გვათუამ ამ მანქანის ყიდვა იმპერატორ ნიკოლოზ რომანოვს დაასწრო.

1901 წლის გაზაფხულზე ახალი სენაკის დაბის მოსახლეობას ელვასავით მოედი ცნობა, რომ აზნაურ ვარლამ გვათუამ „ავტომობილი“ ჩამოიყვანა, რომელიც ოთხ ბორბალზე დგას და სწრაფად დარბისო. სანახავად აუარება ხალხი გამოვიდა..

რკინის ეს „მოწყობილობა“ მართლაც საუცხოო სანახავი იყო. გვათუამ მანქანა ჩამოიყვანა თავის ნათესავ ჭიჭიკო იოსავასთან ერთად. რადგან გრძნობდა, რომ სამეგრელოში ეს პირველი ავტომობილი იყო, მოიწვია ფოტოგრაფი, ახალი სენაკის თავკაცები, თავადები: ფარნაოზ და ბარდღა მხეიძეები, თვითონ მიუჯდა საჭეს და საჩვენებელი რბოლა გამართა, რომელსაც მოსახლეობამ „ვარლამის რბოლა“ უწოდა.

ფოტოზე აღბეჭდილია ვ. გვათუას კუთვნილი მანქანა და სანახავად მოსული ადამიანები. აშკარად ჩანს, რომ გაზაფხულის თვეა. მანქანასთან, მარცხენა მხარეს, დგანან მოსახლეობის წარმომადგენლები, ხოლო მარჯვნივ, მაღალი საზოგადოების წევრები. მათ შორის მდგარი მამაკაცი ცილინდრითა და „ტროსით“ ხელში, უნდა იყოს ვარლამ გვათუა. ხოლო საჭესთან ზის ევროპიდან ჩამოყვანილი მძღოლი...

ბორის დავითაია

სენაკიდან

ნოჯიხევველები სასოფლო გზების მოწესრიგებას ითხოვენ!

საავტომობილო გზის რეაბილიტაციის მოთხოვნით, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევში საპროტესტო აქცია გაიმართა.

ადგილობრივები შიდა სასოფლო გზებისა და სანიაღვრე არხების მოწესრიგებას ითხოვდნენ. მათი განცხადებით, წლებია გაუსაძლის პირობებში არიან და ხელისუფლებას დახმარებით მიმართეს.

როგორც ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში განაცხადეს, კონკრეტულ საკითხზე დაწყებულია მუშაობა და უახლოეს პერიოდში აღნიშნული პრობლემა მოგვარდება.

სანთელი

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს უკეთილშობილესი ქალბატონის

ქეთევან ტყემალაძე-ბულისკერიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

სვეტლანა, შალვა მგალობლიშვილები, იური ჭოლოკავა, ეკატერინე გიორბელიძე, სანდრო კუპრეიშვილი, ავთანდილ პატარაია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მეგობარი სოხუმიდან

რევაზ (რემიკ) ღვინჯილია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ზუგდიდში აქციის მონაწილე დააკავეს

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნაცატუში, გზის რეაბილიტაციის მოთხოვნით, ადგილობრივებმა აქცია გამართეს.

მათ გზა გადაკეტეს და მანქანებს გადაადგილების საშუალებას შემოვლითი გზით აძლევდნენ, რა დროსაც პოლიციასა და აქციის მონაწილეებს შორის დაპირისპირება მოხდა. სამართალდამცველებმა ერთი ადამიანი პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს.

განცხადება

სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს

შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

1. მანქანათმშენებლობის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – ერთი არასრული საშტატო ერთეული;

კონკურსის პირობები:

უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კონკურსანტს მოეთხოვება განყოფილებაში მიმდინარე სამეცნიერო თემატიკით გათვალისწინებული ერთ-ერთი პროექტის ხელმძღვანელობა ან მის შესრულებაში აქტიური მონაწილეობა. სამეცნიერო სამუშაოთა დაგეგმვა და განხორციელება.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

ა) განცხადება;
ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
გ) ავტობიოგრაფია (CV);
დ) დოქტორის, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
ე) გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ნუსხა, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
ვ) ერთი სამეცნიერო ნაშრომის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს, კვლევის უნარს;
ზ) სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ჩამონათვალი, რომელთა დამუშავებაშიც იღებდა მონაწილეობას (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
თ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი;
ი) პატენტები, საავტორო მოწმობები, ლიცენზიები და მის სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტი;
კ) შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი).

საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში მისამართზე: თბილისი, ელიზბარ მინდელის ქ. №10.

საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2020 წლის 09 ოქტომბერი.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სვეტლანა ჩაგელიშვილს.
ტ.: 593 234 025, 2 329017.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ცხადდება ღია კონკურსი შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შერჩევის მიზნით.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე.
ვებ-გვერდი: www.geomedi.edu.ge
ელ.ფოსტა: info@geomedi.edu.ge
ტელ.: 2 75 25 20

ახალი ტაძარი თუშეთში

თუშეთში ზღვის დონიდან 3000 მეტრზე ტაძარი შენდება. 2007 წლის 19 ივლისის შემდეგ მეუფე აბბა ალავერდელის, მიტროპოლიტ დავითის ინიციატივით, თუშეთის გზის რთულ მონაკვეთზე არაერთი ჯვარი აღიმართა. ჯვრის აღმართვის დროს მიტროპოლიტმა ქადაგებისას მრევლს მოუწოდა, რომ ჯვართან ახლოს პატარა ტაძარიც უნდა აშენებულიყო. თუშეთისკენ მიმავალ მგზავრს კი კურთხევა მისცა, რომ გზად ერთ ქვას გაიყოლებდა და ტაძრის აშენებაში წვლილს შეიტანდა.

2011 წლის 27 აგვისტოს იკურთხა წმინდა სამების ტაძრის საძირკველი. ღვთისმშობლის მიძინების დღეს კი პირველი წირვა ჩატარდა და პირველად დაირეკა ზარი. სასულიერო პირებმა მეუფესთან და მრევლთან ერთად წირვის დაწყებამდე საკურთხეველი მოაწყვეს და ტაძარში ხატები შეაბრძანეს.

ანიმაციური ფილმების კონკურსი

ეროვნული კინოცენტრი ანიმაციური ფილმის პროექტის განვითარების დაფინანსების კონკურსში დარეგისტრირებულ პროექტებს ასაჯაროებს.

კონკურსში სულ 15 პროექტი ჩაერთო:

„ორი სილა“ — **(საპროდიუსერო კომპანია — ააიპ „პერსონაჟი“, რეჟისორი — გიორგი გორელაშვილი, სცენარის ავტორი — გიორგი კიკვაძე)**

„რუ“ — **(საპროდიუსერო კომპანია — შპს „ბასტი-ბუბუ“, რეჟისორი — ირინე გელაშილი, სცენარის ავტორი — სალომე ბენიძე) —**

„მგელი ტატე“ — **(საპროდიუსერო კომპანია — შპს „აი-ბი-ჯგუფი“, რეჟისორი — ლილი დადიანი, სცენარის ავტორი — ლილი დადიანი)**

„ქაღალდის თვითმფრინავი“ — **(საპროდიუსერო კომპანია — შპს „ანიმატორი“, რეჟისორი — თამთა მანაგაძე, სცენარის ავტორი — მინდია არაბული)**



„სოხუმი“ — **(საპროდიუსერო კომპანია — შპს „20 სთეფ ფროდაქშენი“, რეჟისორი — მამუკა ტყეშელაშვილი, სცენარის ავტორი — მამუკა ტყეშელაშვილი)**

„დასაწყისი“ — **(საპროდიუსერო კომპანია — შპს „არტი“, რეჟისორი — დავით ქობულაშვილი, სცენარის ავტორი — გიორგი მოდებაძე)**

„ერთი კაცის ნამღერი“ — **(საპროდიუსერო კომპანია — შპს „კვალი XXI“, რეჟისორი — პაატა შენგელია, სცენარის ავტორი — მარიამ კანდელაკი)**

„მეგობრობა“ — **(საპროდიუსერო კომპანია — ააიპ „პერსონაჟი“, რეჟისორი — ვანო ბიწაძე, სცენარის ავტორი — თამუნა კოჩალაძე)**

„სიტყვობანა“ — (პროდიუსერი — ი/მ ნინო ხუფენია, რეჟისორი — გურამ გეგუჩაძე, სცენარის ავტორი — გურამ გეგუჩაძე)

„წიქარა“ — **(საპროდიუსერო კომპანია — ააიპ „პერსონაჟი“, რეჟისორი — არსენ ოქრუაშვილი, სცენარის ავტორი — ეკატერინე შავთელი.)**

„კუპატა“ — **(საპროდიუსერო კომპანია — შპს „კუპატა“, რეჟისორი — ოთარ ქათამაძე, სცენარის ავტორი — ოთარ ქათამაძე)**

„კუბი“ — **(საპროდიუსერო კომპანია — შპს „ბი-აი-თი სტუდია“, რეჟისორი — ლევან გელაშვილი, სცენარის ავტორი — ლევან გელაშვილი)**

„ვარდნა“ — **(საპროდიუსერო კომპანია — შპს „არბა ფრომოუშენსი“, რეჟისორი — ვლადიმერ სულაქველიძე, სცენარის ავტორი — ვლადიმერ სულაქველიძე)**

„იმედი“ — **(საპროდიუსერო კომპანია — შპს „ნათურა ფილმი“, რეჟისორი — დავით დუნდუა, სცენარის ავტორი — დავით დუნდუა)**

„ალუდა ქეთელაური“ — **(საპროდიუსერო კომპანია — შპს „სტუდია (1“, რეჟისორი — ვახტანგ ჩაჩანიძე, სცენარის ავტორი — ვახტანგ ჩაჩანიძე).**

კონკურსის მიზანია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით ეროვნული ფილმის პროექტის განვითარების დაფინანსება.

„მთვრალი“ კრაზანების დესანტი

ბრიტანეთს **გერმანიიდან „მთვრალი“ კრაზანების საშიში სახეობა შეესია, რომლებიც ადამიანებს უმიზეზოდ კბენენ.**



კრაზანების გავრცელების მიზეზი ცხელი, უნალექო ზაფხული გახდა. ამ ფონზე კრაზანა მწიფე ხილს ეტანება და საკვებიდან სითხეს იღებს. ამის გამო მწერები კიდევ უფრო აგრესიულები გახდნენ და კრაზანების მიერ დაკბენილი ადამიანების რაოდენობა გაიზარდა.

გამოცემის ცნობით, მეცნიერების გათვლებით, „მთვრალი“ კრაზანების რაოდენობა სავარაუდოდ 200 მილიონს აღწევს. ამის გარდა, რეგიონში კიდევ 250 მილიონი ჩვეულებრივი კრაზანა ბინადრობს.

მწერებთან ბრძოლის კომპანიის ხელმძღვანელი პოლ ბეიტსი აცხადებს, რომ ამ დროისთვის მწერების აქტივობის პიკია. **„მდედრმა კრაზანებმა კვერცხის დება დაასრულეს და ამიტომ სხვა კრაზანებმა, რომლებიც დედებზე ზრუნავდნენ, ბუდეები დატოვეს“,** — ამბობს ბეიტსი. სპეციალისტი ბრიტანეთის მოსახლეობას სიფრთხილისკენ მოუწოდებს.

ყველაზე ძვირადღირებული მონეტა

1794 წელს აშშ-ში დაბეჭდილი ვერცხლის დოლარი აუქციონზე გაიყიდება.

მონეტა ნუმიზმატებისთვის დიდ ფასეულობას წარმოადგენს. 2013 წელს ის აუქციონზე 10 მილიონ დოლარად გაიყიდა, რითაც რეკორდი მოხსნა და მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული მონეტა გახდა.

„ეს საოცნებო მონეტაა — შეუფასებელი არტეფაქტი, ძალიან ამაყი ვარ, რომ მას ვფლობდი და ვწუხვარ რომ მასთან განშორება მომიწევს“, — განაცხადა ბრიუს მორელანმა, რომელსაც 1794 წელს მოჭრილი ვერცხლის დოლარის აუქციონზე გააქვს

სულ 1758 ასეთი მონეტა მოიჭრა, ჩვენამდე კი მხოლოდ 130 მათგანი მოვიდა. ეს დოლარები ფართო მოხმარებისთვის არ იყო განკუთვნილი, მათ მხოლოდ კონგრესმენებს და აშშ-ის საპატიო მოქალაქეებს ურიგებდნენ.

ბუშტების ფორმის სახლი

ავსტრალიაში, ქალაქ იპსვიჩის ახლოს მფლობელებმა ბუშტების ფორმის სახლი გასაყიდად გამოიტანეს. მფლობელებს აქვთ მოლოდინი, რომ უცნაური ფორმის სახლი 41,8 მილიონად გაიყიდება.

შენობის ფართი 1000 კვადრატული მეტრია და 11 ბუშტის ფორმის დეტალისგან შედგება. სახლში 20 ოთახია — მისაღები, სამი საძინებელი, ორი სააბაზანო, სამზარეულო, სახელოსნო, ღვინის მარანი, ორი ბიბლიოთეკა და სამუშაო ოთახი. ასევე ტერიტორიაზე მდებარეობს ავტოფარეხი და გოლფის მოედანი.

უცნაური სახლის ავტორია ავსტრალიელი არქიტექტორი გრემ ბირჩელი. მან პროექტი თავისი დისერტაციის ფარგლებში 1981 წელს მოამზადა.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

ISSN 2233-3851

9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 10 სექტემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0804; ევრო - 3.6487;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.0902;
100 რუბლი - 4.1035; თურქული ლირა - 0.4140;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8133;
1000 სომხური დრამი - 6.3076.

ამინდი 8 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+16,	დღე	+32
მთიანი რაიონები -	ღამე	+11,	დღე	+29
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+16,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+27
თბილისი:	ღამე	+20,	დღე	+31

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 239-03-43, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge